პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 268 (20614) ოთხშაბათი, 22 ნოემბერი, 1989 წელი. ფასი 8 კაპ.

## სესია დამთავრდა, მსჯელობა გრძელდება

### მომავლის გზაზე

ალბათ, პირველი შემთხვევაა, რომ სესიის მუშაობის შესახებ არაფორმალურად შეიძლება ვილაპარაკოთ, რადგან ამჯერად სესია, მართლაც, გამოხატავდა ჩვენი ხალხის, საზოგადოებრიობის განწყობილებებს, ფიქრებს, აზრებს. მე მგონი, ისიც პირველად მოხდა, რომ ჩვენმა პარლამენტმა იგრძნო თავისი ძალა და მნიშვნელობა, და ისიც, რომ სწორედ აქ უნდა წყდებოდეს უმნიშვნელოვანესი საკითხები ქვეყნის ბედისა.

ძალიან მიხარია, რომ ახლებური სესიის მონაწილე ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ „გარდაქმნამდელი“ დეპუტატები ვართ. მთავარი ის არის, რომ მუშაობის სტილი იყო ახლებური. რაც შეეხება არსებითს შედეგებს, სესიამ, ჩემი აზრით, მიიღო საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. ეს შეეხება კონსტიტუციის დამატებებს—მე-10, მე-11, 69-ე და 77-ე მუხლებს. მათი ერთობლივი შეფასება რესპუბლიკის სუვერენიტეტის რეალურ გარანტიას გვაძლევს. ეს არის საკუთრების საკითხი, მიწა-წყლის, ტყის, წიაღისეულის და ა. შ. აგრეთვე რესპუბლიკის უფლება, გავიდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მაშინაც კი, თუ საკავშირო ხელისუფლება შეზღუდავს რესპუბლიკის უფლებებს. ასეთივე მნიშვნელოვანია მუხლი, რომელიც ეხება საქართველოს უფლებას შეაჩეროს თავის ტერიტორიაზე იმ საკავშირო კანონების მოქმედება, რომლებიც რესპუბლიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ამ სესიაზე აღიარეს 1921 წელს საქართველოს ანექსიის ფაქტი და პოლიტიკური შეფასება მიეცა 9 აპრილის ტრაგედიას. ყოველივე ეს, ჩემი აზრით, იმედს გვაძლევს, რომ რეალური სუვერენიტეტის მოპოვებისა და მომავალი დამოუკიდებლობის გზას დავადექით.

**ლანა ღოღობერიძე,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი.

### მკვიდრი ბალავარი

**საქართველოს** სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. და ეს იმიტომ კი არა, რომ ყველაფერი უზადო იყო. არსებითი ის არის, რომ იგრძნობოდა, რაოდენ ამაღლდა დეპუტატების პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი ყოველ სიტყვასა და მოქმედებას. კერძოდ, ამგვარმა განწყობილებამ ნათლად იჩინა თავი, როცა რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით დეპუტატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის არჩევას.

ვინც სესიის მსვლელობას დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ალბათ გადაჭარბებად არ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ ეს იყო ჩვენში პირველი სესია, რომელზეც მართლაც, შეულამაზებლად ითქვა ხალხის სათქმელი. დეპუტატებმა თავიანთი გულისთქმა ნათლად გამოხატეს, განიხილეს ისეთი საკითხები, რომლებიც ქართველი კაცის გულსა და სულს დიდი ხანია აწუხებდა. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების კანონპროექტების თაობაზე გივი გუმბარიძის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში სწორედ ქართველი ხალხის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დაისახა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენს წინაშე წამოჭრილი საკითხები, უწინარეს ყოვლისა, კეთილსინდისიერი შრომით უნდა გადაწყდეს, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა ხომ მეტად შრომატევადი და დაძაბულია.

დღეს და მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახალხო მოხმარების საგნების წარმოებას, მოსახლეობის დაკმაყოფილებას მაღალი ხარისხის პროდუქციით, ამ საქმეში ჩვენი საწარმოს მშრომელებიც აქტიურად არიან ჩაბმული, მათ თითოეულ სამუშაო უბანზე დისციპლინის განმტკიცებით, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად გამოყენებით, საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის გაზრდით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

1990 წელს კიდევ უფრო გავააქტიურებთ მუშაობას უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

და ეს ახლა არ შეიძლება ლიტონი სიტყვა იყოს იმისთვის, ვისაც შეგნებული აქვს, რომ ძლიერი ეკონომიკა ის მკვიდრი ბალავარია, რომელსაც სუვერენული საქართველოს მომავალი უნდა დაეფუძნოს.

**ევგენია ლაზვიაშვილი,**
თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ მქსოველი.

### წინ გადადგმული ნაბიჯი

**ერთი** ხელის დაკვრით არაფერი კეთდება. ჩვენი ხალხი წლების მანძილზე შეჩვეული იყო სათქმელის მოზომვას. მკაცრი შინაგანი ცენზორი ხომ აზრის ბოლომდე დაუფარავად გამოთქმის საშუალებას არასოდეს გვაძლევდა. ამიტომაც ახლა ჩვენს პრობლემებზე ასე ხმამაღლა საუბარი, თანაც ტელევიზიის ეკრანიდან სრულიად საქართველოს წინაშე, წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. სწორედ ამით იყო გამორჩეული ახლახან დამთავრებული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია. თანაც მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამდაგვარი ფორუმის პირდაპირი ტრანსლაცია ტელევიზიით ახლა მკვიდრდება და ეს ფორმა სამომავლოდ, რასაკვირველია, თანდათანობით დაიხვეწება.

სესიამ ჩვენი ხალხისათვის მეტად ბევრი მტკივნეული საკითხი წამოწია წინა პლანზე, ბევრ რამეს დაარქვა თავისი სახელი. აი, თუნდაც, 1921 წლის 25 თებერვლის ცნობილი მოვლენა. მე ისტორიკოსი არა ვარ და პროფესიულ შეფასებას ვერ მივცემ მას, მოქალაქეობრივი პოზიცია კი მაქვს და ვერავინ წამართმევს: მე სრულიად ვეთანხმები სესიის ფორმულირებას — ეს ფაქტობრივად ანექსია იყო და სხვა არაფერი.

არ შემიძლია არა ვთქვა, რომ უკმარისობის გრძნობა დამიტოვა 9 აპრილის გამომძიებელი კომისიის დასკვნამ. მომეჩვენა, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, უკვე დასჯილ ხალხს დაეკისრა და არაფერი ითქვა სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ზედა კორპუსის დამნაშავეებზე.

ერთი სიტყვით, სასიამოვნოა, რომ ნელ-ნელა ვსწავლობთ დემოკრატიას, და ეს ჩვენი ერთადერთი გზაა სამომავლოდ.

**გიორგი ციციშვილი,**
აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

## სესიის დღიური

**20 ნოემბერს** კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეორე სესია. დილის სხდომაზე, რომელსაც რ. ნ. ნიშანოვი თავმჯდომარეობდა, დელეგატებმა დაიწყეს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის საკითხის განხილვა.

ისევე როგორც ერთი თვის წინათ, როცა ეს საკითხი სესიაზე პირველად დაისვა, საკუთრების, მიწისა და სხვა კანონპროექტების, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით მისი შემუშავების თაობაზე დამსწრეთ მოახსენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ი. აბალკინმა.

როცა კანონის პროექტის ახალი ვარიანტი შესთავაზა, მან მაშინვე განაცხადა, რომ დოკუმენტის დამუშავება ადვილი არ იყო, და გაჭირდა მთელ რიგ დებულებათა გამო ერთიანობის მიღწევა, ვერ მოხერხდა სხვადასხვა შენიშვნისა და წინადადების გათვალისწინება. მთავრობის მეთაურის მოადგილეს აღარ დაუწყია პროექტის შინაარსის გაშუქება, საჭიროდ ცნო შეჩერებულიყო მხოლოდ ახალ დებულებებზე, პრინციპულ საკითხებზე.

მან პარლამენტს შესთავაზა მიიღოს პროექტი პირველი წაკითხვით. რაკი ცხარე კამათის მოლოდინი ჰქონდა, ორატორმა დეპუტატებს მოუწოდა გამოიჩინონ სახელმწიფოებრივი სიბრძნე.

როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი აღმოჩნდა მოხსენების შემდეგ დაწყებული დისკუსიის ცენტრში.

ადვილი არა ყოფილა კენჭისყრა კამათის შედეგების გამო. კანონის ძირითადი დებულებანი პირველი წაკითხვით არ მიუღიათ. დეპუტატებმა მხოლოდ ცნობად მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება ამ საკითხზე. მათ შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს დაავალეს ქვეყნის მთავრობასთან ერთად გაითვალისწინონ დისკუსიის დროს გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და განაგრძონ მუშაობა კანონპროექტზე და განსახილველად წარუდგინონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მორიგ სესიას.

შესვენების შემდეგ — საღამოს სხდომაზე — დარბაზში კვლავ დაიწყო ბლიცდისკუსია პროცედურულ საკითხებზე. ამის შედეგად დეპუტატებმა — როცა კენჭისყრა დამთავრდა, გადაწყვიტეს განეხილათ თანამედროვე სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი უმწვავესი და „მტკივნეული“ საკითხი — სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისა და ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების [illegible] შესახებ.

ამ საკითხზე [illegible] ლ. ი. აბალკინი. მისი მოკლე კომენტარის არსი, რომელიც ეხებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დავალების შესაბამისად მომზადებულ დადგენილების პროექტს, შეიძლება ასეთი ფორმულით დავახასიათოთ: არა არის რა ხალხის უფლებაზე უფრო მაღალი სხვა უფლება.

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ განსახილველი დოკუმენტი მოხსნის მოსახლეობის მზარდ შეშფოთებას ფასების უკონტროლო ზრდის გამო, შეაჩერებს მოსახლეობის საარსებო დონის დაქვეითებას.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ შესაბამისი საპარლამენტო კომისიების დასკვნის გათვალისწინებით მიიღო დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისა და ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების დამატებით ღონისძიებათა კომპლექსი.

(საქდესის კორ).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში

**20 ნოემბერს** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიღო შემდეგი განცხადება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წევრები გაოცებასა და სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო რეზოლუცია მთიანი ყარაბაღის საკითხზე. რა მოტივებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი სენატორები, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რეზოლუცია წარმოადგენს „ცივი ომის“ სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში დაუშვებელ ჩარევას.

ჩვენი კომიტეტის წევრებისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა სახალხო დეპუტატისთვისაც, კარგად არის ცნობილი, რამდენად მწვავე და დაძაბული სიტუაციაა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ: ამ საკითხისადმი მიპყრობილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საბჭოთა მთავრობის ყურადღება. მისი მოწესრიგება მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას, აწონილ-დაწონილობას და განსაკუთრებულ დელიკატურობას. ასეთ პირობებში გარედან ჩარევა უადგილო, არაკორექტულია და შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის მიღებულ რეზოლუციაში შეიძლება დავინახოთ ამ საშინაო კონფლიქტის ინტერნაციონალიზების ცდაც, რაც ეწინააღმდეგება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკელი სენატორებისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისთვისაც ცხადია: სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება შეიძლება ემყარებოდეს ორი სახელმწიფოს სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, უთუო უარს ხალხთა ცხოვრების საშინაო საკითხებზე საკუთარი გადაწყვეტილებების რეცეპტების თავს მოხვევაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი, რომელიც დიდ დაინტერესებას ავლენს ყოველივე იმის შენარჩუნებითა და გამრავლებით, რაც ერთობლივი და დაძაბული ძალისხმევით ასე ძნელად არის მიღწეული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, გამოთქვამს იმედს, რომ ჩვენი ამერიკელი კოლეგები გამოავლენენ გონივრულ და აწონილ-დაწონილ მიდგომას, რომელიც შეესაბამება ახალი დროის მოთხოვნებს.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

# რესპუბლიკის მთავრობა: პრობლემები, რომელთა სიმძაფრე რევოლუციური გარდატეხის ტოლფასია, ჩვენი გადასაჭრელია

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ა. ჭითანავას გამოსვლა

**პატივცემულო დეპუტატებო! ამხანაგებო!**

**— 285 დღეში, წინა სესიას რომ გვაშორებს, საქართველოს ცხოვრებაში იმდენი რამ მოხდა, იმდენი ტრაგედია დატრიალდა, შესაბამისად ისე დავიძაბეთ, ემოციურად დავიმუხტეთ, იმდენი რამ განვიცადეთ და თანაც გავიაზრეთ, გავაანალიზეთ, რომ ძნელია ერთნიშნად თქვა, რამდენი წელი დასჭირდებოდა სხვა დროს და სხვა პირობებში დღეების ამ წნეხში აკუმულირებულ ჩვენს ისტორიას.**

**რა არის ეს — ანომალია თუ კანონზომიერება? ცხადია, შეიძლებოდა დღეს ამ კითხვაზე ვრცელი, მრავალმხრივ არგუმენტირებული პასუხის გაცემა, მაგრამ დღეს უთუოდ იმით დაკმაყოფილება ჯობს, რომ ვთქვათ: ასეთია რეალობა, ჩვენი სამოქმედო ასპარეზი.**

**გარდაქმნის შეუქცევადმა პროცესებმა ქვეყანაში (რა თქმა უნდა, რესპუბლიკაშიც) გამოავლინა და გაამიშვლა ყველა ის მტკივნეული პრობლემა, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ხან ავტოკრატიის, ხან ვოლუნტარიზმის, ხან უძრაობის, თავის მოტყუებისა და თვითკმაყოფილების პერიოდებში მთელ ქვეყანაში განფენილი ისტორიული შრეები ფარავდა. ესეც რეალობაა.**

**პრობლემები, რომელთა სიმძაფრე რევოლუციური გარდატეხის ტოლფარდია, ჩვენი გადასაჭრელია, ჩვენი გასაკეთებელი საქმეა. მაგრამ სრულიად განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც არსებულ ნანგრევებზე იმსხვრევა ძველი შეხედულებანი, ყალიბდება ახალი პოზიციები, როდესაც ჭეშმარიტების ძიებაში თვითგანწმენდას არსებობის ნორმად მივიჩნევთ უკვე, როდესაც ფიქრისა და განსჯის, გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების ჩვეულებრივ დანაწევრებული მომენტები ერთ მთლიანობად შეიკრა და საზოგადოების სტრესული სიტუაციაც კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, როცა ძალიან ბევრს, სასტარტო მოედანზე რომ დგას, ვერ გადაუწყვეტია ვით წავიდეს, ვის მიემხროს, რომელ პრინციპებს დაუჭიროს მხარი.**

**ეს ფსიქოლოგიური დატვირთვა ძლიერდება ორი ფაქტორის — დროისა და სივრცის ერთობლიობით იმ პროცესების აქტიური ზეგავლენით, რომლებიც მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს და ღრმავდება. ამიტომ გარდაქმნა, დაუფარავად უნდა ვთქვათ, მტკივნეულად მიმდინარეობს საერთოდ ქვეყანაში და ჩვენს რესპუბლიკაშიც.**

**გარდაქმნამ, დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ ძლიერი იმპულსი მისცა ხალხების ეროვნულ თვითშეგნებას, დრო, განვითარების ეტაპი, ამოცანების ეროვნული ხასიათი სულ უფრო აძლიერებს ყველა ჩვენგანის პირად პასუხისმგებლობას ხალხის მომავლის, მისი ბედისათვის. მით უფრო, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში ეროვნული ურთიერთობის საკითხები უაღრესად გამწვავდა. და, საერთოდ, სიტუაცია დაძაბულია.**

**ექსტრემალურ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ზიგზაგისებური ხასიათის ანალიზმა მოგვცა საშუალება ობიექტური დასკვნები გამოგვეტანა და წინსვლის ზოგიერთი მიმართულება, გზა განგვესაზღვრა.**

**ღრმა რწმენით ვაცხადებ: რესპუბლიკაში შემუშავებული კურსი ეროვნებათაშორისი ურთიერთობის რეგულირებისა, ღონისძიებათა ის სისტემა, რომელიც ამ კურსის განსახორციელებლად გამოიყენება, საიმედო პერსპექტივას ქმნის.**

**ქართველმა ხალხმა საქართველოში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს შეუქმნა რეალური საფუძველი ყოველმხრივი განვითარებისათვის, მომავალშიც შეუქმნის ეკონომიკის, ისტორიის, კულტურის, ტრადიციების სრულყოფის ხელშემწყობ პირობებს.**

**დეპუტატებს უნდა მოვახსენო, რომ ისედაც დაავადებული ეკონომიკა როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენთანაც მიმდინარე წელს მეტად რთულ ბუნებრივ, საწარმოო და ორგანიზაციულ პირობებში ფუნქციონირებს. მთელი რიგი დარგები არარიტმულად მუშაობს, გაფიცვებმა დიდი ზიანი მიაყენა საქმეს — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში ზარალმა 90 მლნ მანეთამდე შეადგინა. ათობით მილიონი მანეთი დავკარგეთ აგრეთვე საფინანსო მეურნეობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებული უწესრიგობის გამო. ამიტომ განვლილ 10 თვეში ვერ უზრუნველვყავით ეკონომიკის განვითარების დინამიკურობა. სახალხო მეურნეობაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.**

**ასეთია ზოგადად რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ვითარების ხასიათი და ფონი, შინაარსი და საზღვრები.**

• • •

ასეთ პირობებში მუშაობს რესპუბლიკის მთავრობა. ვითარების ამგვარ ანალოგს, ალბათ, ვერ ვნახავთ, ყოველ შემთხვევაში, დღემდე განვლილი ცხოვრებიდან. ამას ვაცხადებთ არა იმიტომ, რომ შესუსტდეს მომთხოვნელობა მთავრობისადმი, არამედ იმისათვის, რომ კარგად აღვიქვათ დღევანდელი მდგომარეობა, მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ხასიათი, მიზეზები, რომლებმაც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კრიზისი გამოიწვია, შეანელა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი, დააქვეითა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უკიდურესად გაამწვავა სოციალური ვითარება.

ასეთ პირობებში რესპუბლიკის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეძლო შეემუშავებინა რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების საფუძვლების (მიმართულებების) დოკუმენტები, რომლებშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდა ეროვნული განვითარების, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციები.

კრიზისული მდგომარეობიდან სწორი გამოსავლის მოძებნა დღეს ყოველი ჩვენგანის საერთო საზრუნავია და აქეთკენ უნდა მივმართოთ მუშაობის ყველა ფორმა, მეთოდი, უნდა გადავდგათ არაორდინარული ნაბიჯები, დავეყრდნოთ ხალხის სიბრძნეს და გამოცდილებას, ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის გრძნობას, ყოველმხრივ ანგარიში გავუწიოთ და სწორად აღვიქვათ მისი საფუძვლები, უშეცდომოდ განვსაზღვროთ მისი გამოყენების პრინციპები დღევანდელ ვითარებაში.

ამ მოთხოვნების ფონზე დღეს საჭიროდ მივიჩნიე სესიას გავაცნო მთავრობის მოღვაწეობის სტრატეგიული მიმართულებანი, მუშაობის მეთოდები და პრინციპები, რათა სწორად შევაფასოთ ხელისუფლების როლი არსებულ ვითარებაში, რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელობის მოთხოვნებს, რამდენად გააზრებულია მომავალი, მთავრობის მიერ სამოქმედოდ განსაზღვრული ბერკეტებით შეიძლება თუ არა არსებული პრობლემების უძრაობის ინერციის დაძლევა, დასახული ამოცანების შესრულება, რამდენად ძლიერია და ობიექტური მთავრობის პოზიციები.

წინასწარ ვიტყვი, რომ დღეს **რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ხუთი ძირითადი მიმართულებით მოღვაწეობს. თითოეული მიმართულება მრავალ პრობლემას, საკითხს შეიცავს, ყველა მათგანი ერთმანეთს ორგანულად ერწყმის, ავსებს ერთმანეთს, ქმნის ერთიან სისტემას, მთელისა და ნაწილის ურთიერთშეხამების პრინციპზეა აგებული.** ამიტომ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით ამ პრობლემების არც განხილვა, არც გადაჭრა არ შეიძლება. ამავე დროს, მათი გადაწყვეტის ტაქტიკა და ეტაპები დაზუსტება-დაკონკრეტებას საჭიროებს, რაც დროის (კონკრეტული ვითარების) მოთხოვნებს უნდა მივუსადაგოთ. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტის კურსი დაედო საფუძვლად რესპუბლიკის განვითარების მიმართულებებს.

განვითარების ყველა ეტაპს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები აქვს (პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური დატვირთვა გააჩნია), ამიტომ მოქმედების ტაქტიკაში, პოზიციების განსაზღვრისას ისინი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ყოველმა ეტაპმა უნდა მოამზადოს მყარი ეკონომიკური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური საფუძველი მორიგი, უფრო რთული ამოცანის შესრულებისათვის. ასეთია ზოგადად მთავრობის მოღვაწეობის სტრატეგიის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

მოკლედ მოგახსენებთ ძირითადი მიმართულებების შესახებ.

• • •

ყოველწლიური სტიქიური უბედურებანი რესპუბლიკაში, ნიადაგის გამოფიტვა და ეროზია, ჩვენი ველ-მინდვრების, ბაღ-ვენახების, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების დაჭაობება-გალატაკება, ფლორისა და ფაუნის დაუნდობელი გაჩანაგება, საჰაერო აუზის, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაბინძურება თვალნათლივ მოწმობს, თუ რა უპასუხისმგებლოდ ვეკიდებით ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს — დედაბუნებას.

ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღების აუცილებლობამ მეტად ძნელი გამოცდის წინაშე დაგვაყენა. ჩვენ, კი, სამწუხაროდ, სწორად გააზრებული პერსპექტივის განსასაზღვრავად ყველა ეკოლოგიური პარამეტრის სრულყოფილი ანალიზიც არ გაგვაჩნია. არც ძლიერი მაკოორდინირებელი ცენტრი გვაქვს. დაზუსტება-დაკონკრეტებას საჭიროებს ეკოლოგიური სიტუაციის განსაზღვრის კრიტერიუმებიც. **ამიტომ მთავრობამ თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ პირველი რიგის სტრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრა ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება საქართველოში.**

რა უნდა გაკეთდეს?

**პირველი,** ერის მომავალი მოითხოვს ამ მიმართულებით ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფო სამსახურების, სამედიცინო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ძალების ურთიერთდაკავშირებული მწყობრი სისტემა, ყოველმხრივ გავაანალიზოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება და რესპუბლიკის თავისებურებათა სრული გათვალისწინებით შევქმნათ ბუნებრივი პროცესების მართვის ახალი, ჩვენებური მოდელი.

**მეორე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ბუნების დამცველ ორგანოებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამის პროექტი. იგი უახლოეს მომავალში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. ეს პროგრამა უნდა გახდეს რესპუბლიკის ეკოლოგიური კატასტროფისაგან გადარჩენის პრაქტიკული მოქმედების პლატფორმა.

**მესამე,** პროექტის განხილვისას მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, ფართო საზოგადოებრიობამ უნდა გაითვალისწინონ ბუნების მიმდინარე პროცესებში ადამიანის ჩარევის ყველა ასპექტი, კარგად გაიაზრონ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე რომელ მეთოდს მივცეთ უპირატესობა ამა თუ იმ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას. შემდგომ კი, სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, ერთობლივად მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება.

**მეოთხე,** ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში მკვეთრად უნდა გაიზარდოს დეპუტატთა კორპუსის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შრომითი და პედაგოგიური კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის როლი. ჩვენ ჯეროვან პროპაგანდას არ ვუწევთ ეკოლოგიურ კულტურას მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში. ბუნებრივი გარემოსადმი დამოკიდებულება რადიკალურად უნდა შევცვალოთ. დედაქალაქი, რესპუბლიკის სოფლები და ქალაქები, შარაგზები და გზატკეცილები, ქუჩები და სადარბაზოები, ყველა ის ადგილი, სადაც ადამიანს გარემოსთან შეხება უხდება, უნდა იყოს სუფთა, პირდაპირ უპასუხებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, მაღალი კულტურის ხალხის შინაგან მოთხოვნილებას და, საერთოდ მის ბუნებას.

ეკოლოგიის გაჯანსაღება საქართველოში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. ამ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი ეკოლოგიის სამთავრობო და საგანგებო სიტუაციათა კომისიები, რომლებსაც მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

• • •

რესპუბლიკის პრესაში განსახილველად გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი. ამ კონცეფციის წარმატებით რეალიზაციისათვის უაღრესად დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს აქტიური ეროვნული სახელმწიფოებრივი და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და გეგმაზომიერ განხორციელებას, **ამიტომ თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მთავრობამ დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღება განსაზღვრა.**

**მიზანშეწონილად ჩაითვალა ისეთი ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, რომელსაც საფუძვლად დაედება მატერიალურ-ფინანსური, სამართლებრივი და აღმზრდელობით-პროპაგანდისტული მექანიზმის მაქსიმალური ამოქმედება, სწორი მიმართულებები, ეტაპები.** ასეთი პოლიტიკის ფორმირება, ბუნებრივია მოითხოვს დემოგრაფიული, განსაკუთრებით ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული ასპექტების ფუნდამენტურ კვლევას, ვარიანტული დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავებას და მათს საფუძველზე გრძელვადიანი კომპლექსური დემოგრაფიული პროგრამების განხორციელებას. ამისათვის კი მძლავრი დემოგრაფიული ცენტრია საჭირო. მთავრობამ ამ მიმართულებით უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი, მიიღო დადგენილება „საქართველოში დემოგრაფიული ვითარების კონცეფციის შემუშავების შესახებ“, ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიული ცენტრის შექმნა.

დემოგრაფიული პოლიტიკის სახელმწიფოებრივ დონეზე თანამიმდევრული და გეგმაზომიერი განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული საზოგადოების ნაყოფიერ მუშაობას. ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკის კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის საჭიროა სწორად გავატაროთ მიგრაციული პოლიტიკაც. მას, ვფიქრობთ, საფუძვლად უნდა დაედოს ბუნებრივი საწარმოო თავისებურებანი და ტრადიციები.

დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების სამთავრობო კომისია (რომელსაც რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს) სათანადო მატერიალურ-ორგანიზაციულ და სამართლებრივ წანამძღვრებს შექმნის ამ ეროვნული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

• • •

**რესპუბლიკის მთავრობამ თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრა ეკონომიკის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა.**

ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ურთულეს ეტაპზე გვაღელვებს ის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა სერიოზულად არის დაავადებული. როგორ განვკურნოთ იგი? ან უფრო მეტი, ექვემდებარება თუ არა იგი განკურნებას? ხშირად ამ კითხვებს რომ აყენებენ, ბევრი ეჭვს გამოთქვამს, მიაჩნია, რომ ეკონომიკა არ გამოჯანმრთელდება. როგორია ჩვენი პოზიცია?

დრომ ბევრი საკითხი ახლებურად დააყენა. ახალ ამოცანებს კი, ბუნებრივია, ამჟამად არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით, მართვის პრინციპებით და მეთოდებით ვერ გადავჭრით. ასევე, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა ძირეულად უნდა შევცვალოთ, იგი უნდა მოერგოს რესპუბლიკის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტას.

**ჩვენ მხარს ვუჭერთ საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების, პრინციპების გამოყენებას. დღეს რესპუბლიკაში ეკონომიკური განვითარების სრულიად ახალი კონცეფციაა შემუშავებული. იგი საშუალებას მოგვცემს მასშტაბურად, არაორდინარულად გადავწყვიტოთ ყველა ამოცანა! ეკონომიკის გაჯანსაღების რეალური პროგრამა ამოქმედებას იწყებს.** დადგა დრო, რესპუბლიკამ და ყოველმა ცალკეულმა საწარმომ, ორგანიზაციამ საკუთარი შემოსავლით იცხოვროს, უფრო სწორად, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე ააგოს სამეურნეო საქმიანობა. ეს დიდი პერსპექტივის უპირველესი საფუძველია დღეს.

(დასასრული მე-2 გვ.).

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ფერდინანდ ნესტორის ძე თავაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ფ. ნ. თავაძის დამკრძალავი კომისია ა. ნ. თავხელიძის თავმჯდომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის მთავრობა: პრობლემები, რომელთა სიმძაფრე რევოლუციური გარდაქმნის ტოლფასია, ჩვენი გადასაჭრელია

(დასასრული)

ამისათვის აუცილებელია: პირველი — **უმოკლეს ვადებში ჩავატაროთ ძირითადი და საბრუნავი ფონდების, ყოველი სახეობის რესურსებისა და ცალკეული პროდუქციის ინვენტარიზაცია და რეალურად შევაფასოთ მათი ღირებულება.**

**მეორე, ეფექტიანად გამოვიყენოთ ეკონომიკის განმკურნავი ისეთი რადიკალური საშუალება, როგორიც შრომის ხასიათის შეცვლაა.** შრომა უპირველესად მატერიალურ ინტერესებზე უნდა ავაგოთ. შიშველ ენთუზიაზმზე მყარ ეკონომიკას ვერ შევქმნით. მყარი ეკონომიკის გარეშე კი ძლიერი პოლიტიკური სტრუქტურებიც არ იქმნება.

**მესამე, ყოველმხრივ მხარი უნდა დავუჭიროთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი კაპიტალის ფართოდ დაბანდებას.** ასეთი კავშირურთიერთობის ერთ-ერთ ორგანიზაციულ ფორმად უნდა ვაღიაროთ ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნა.

დღეს რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 30 ერთობლივი საწარმო, რომელთა საწესდებო ფონდიც 100 მილიონ მანეთს აღემატება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების კაპიტალის დაბანდების ამ ფორმას ჩვენ, რასაკვირველია, მომავალშიც ყოველმხრივ დავუჭერთ მხარს. მაგრამ **უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დიდი შესაძლებლობები გვაქვს ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ერთობლივი საწარმოების შექმნისა,** მაგალითად, ციმბირში ხე-ტყის დამზადების, ქვეყნის სხვა ოლქებში სამშენებლო მასალების წარმოებისა და სხვ. ეს ფორმა რაც შეიძლება ფართოდ უნდა დავნერგოთ. მას დიდი პერსპექტივა აქვს.

**უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის რთულ პროცესში საქართველოს შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს. რეალურად ვფლობთ სამკუთხედს: განვითარებული ქვეყნები — საქართველო — განვითარებადი ქვეყნები. სამრეწველო განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (იუნიდოს) ეგიდით ამ სამკუთხედში საქართველო თავისი სამეცნიერო ინტელექტუალური პოტენციით ღირსეულ ადგილს დაიკავებს. მთავრობა ასეთ პერსპექტივაზე მუშაობს დღეს.**

ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად **ჩრდილოვანი ეკონომიკის ორგანიზაციული და მატერიალური საფუძვლების აღმოფხვრა** მიგვაჩნია. ეს რთული ამოცანაა. თუმცა მისი გადაწყვეტის რეალური პირობების მომზადება შეიძლება.

რესპუბლიკაში უნდა გამოვძებნოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ტემპით განვითარების რეალური გზები. მთავარია, სანარდო იჯარაზე გადასვლის დაჩქარება. რასაკვირველია, იქ, სადაც ამის პირობებია. მომავალში ფართოდ დაინერგება ოჯახური, განსაკუთრებით საფერმერო მეურნეობები, კოოპერირების, ინტეგრაციის მორგებული ფორმები. ძირეულად შეიცვლება საზოგადოებრივი მეურნეობების საწარმოო ურთიერთობანი, ორგანიზაციული საფუძვლები. **მიწას, სოფელს პატრონი უნდა ჰყავდეს, მიწით სარგებლობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, მიუხედავად იმისა იგი ქალაქში ცხოვრობს თუ სოფლად.** სოფლად საწარმოო ძალების სწორად განლაგებისას უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი ტრადიციები, ჩვევები, მოსახლეობის კულტურა და სხვა ფაქტორები.

**დაკონკრეტებას მოითხოვს კოოპერაციული და ინდივიდუალური საქმიანობაც.** ყველა ინდივიდს, ყოველ კოოპერატივს უნდა შეექმნას სათანადო ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები მაღალნაყოფიერი შრომისათვის. რაციონალურად უნდა განისაზღვროს მათი მონაწილეობა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებაში.

**რესპუბლიკის ეკონომიკაში ერთ-ერთი სუსტი ადგილია ენერგეტიკა.** დაბალია მისი ტექნიკური განვითარების დონე. დეპუტატებმა ო. ვარძელაშვილმა და ი. ფრანგიშვილმა ამის შესახებ ილაპარაკეს. დიდი ცვლილებები განიცადა რესპუბლიკაში ენერგეტიკის განვითარების პროგრამამ. ამიტომ უახლოეს პერიოდში უნდა დაკონკრეტდეს მისი ძირითადი პარამეტრები.

**რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საბინაო მშენებლობის პროგრამის რეალიზაციას,** რომელიც ითვალისწინებს 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის იზოლირებული ბინით (ან ცალკე სახლით) დაკმაყოფილებას. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. მთავრობამ ამ ამოცანას თავი უნდა გაართვას.

სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს მომსახურების სფერო.

**რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება-აღორძინებაში საგანგებო მნიშვნელობა მშენებლობას, სამშენებლო ინდუსტრიას ენიჭება.** სწორედ ამ სფეროს ეკონომიკურ, საწარმოო და ორგანიზაციულ საფუძვლებს სჭირდება სერიოზული გარდაქმნა. როგორია ჩვენი ამოცანა? ძირფესვიანად უნდა სრულვყოთ დაპროექტება, სამშენებლო მასალების წარმოება, შრომის ორგანიზაცია, კადრების მომზადების სისტემა და სხვ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს **ზღვის შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას.**

**შავი ზღვისა და მისი სანაპიროს გეოგრაფიულ-ეკონომიკური ზოლის განვითარება** მარტო სუბტროპიკული კულტურების წარმოებით, ტურიზმითა და საკურორტო მეურნეობის ფართო ქსელის შექმნით, საქართველოს სანაოსნოს ფუნქციონირებით არ ამოიწურება. ამ რეგიონის შემდგომი განვითარება-გამოყენების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. მისი დამუშავება სამეცნიერო ორგანიზაციების, საგეგმო კომიტეტის, სათანადო სამინისტროთა და უწყებათა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან **არაერთგვაროვანია მისი მნიშვნელობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალფეროვანი არხებით დაწყებული, მრეწველობის, ვაჭრობის, ზღვაოსნობის, ზღვის სიმდიდრეთა ათვისების პრობლემებს მოიცავს. გარე სამყაროსთან საქართველოს დამაკავშირებელ მის ფუნქციას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.**

საქართველოს კურორტების მხარეს ეძახიან. კურორტებს იმდენად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ მათი განვითარების კონცეფციამ (რომლის შემუშავებას იმედი ვიქონიოთ, დააჩქარებენ), მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკის უმდიდრეს ბუნებრივ-კლიმატურ, ეკონომიკურ შესაძლებლობათა სრულად ამოქმედება. ამასთან, **შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილება, დავნერგოთ ტურიზმის მრავალგვარი ფორმები, მათ შორის გლეხურ-საოჯახო, რომელიც კოოპერირების, ხელშეკრულებო ან სხვა საფუძველზე იმუშავებს და სხვ.**

საქართველოს მთიანი რეგიონების ათვისება დიდი პრობლემაა. იგი დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მწვავე საკითხების კომპლექსითაა წარმოდგენილი. ცხადია, დღეს დაწვრილებით ამ პრობლემას ვერ განვიხილავთ, მაგრამ ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ **მთისგან ადამიანის გასხვისების დასაძლევად ყოველმხრივ გააზრებული, კომპლექსური პროგრამა გვჭირდება, რომელიც საზოგადოების სოციალურ, სულიერ და ზნეობრივ ინტერესებს დაეფუძნება.** მრავალ საშუალებათაგან ერთს გამოვყოფდი — ქალაქების, უპირველესად კი დედაქალაქის მცხოვრებთა სოფლად, განსაკუთრებით მთის ზონაში, ნებაყოფლობით, ეტაპობრივად განსახლებასა და დამკვიდრებას. მე ეს საკითხი პერსპექტიულად მიმაჩნია.

ამისათვის კი, ჩვენი აზრით, საჭიროა ამ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად განვავითაროთ სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების საფუძველზე არსებული ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე, ეკოლოგიურად სუფთა, მცირე მოცულობის სამრეწველო საწარმოთა (ფილიალების) ქსელი. ეს ერთი.

მეორე, რესპუბლიკის ეკონომიკის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვს აღვადგინოთ მამა-პაპური რეწვის მდიდარი ტრადიციები. ორიენტაცია უნდა ავიღოთ შინ შრომის პრინციპების ფართოდ გამოყენებაზე. ამ მიმართულებას დიდი პერსპექტივა აქვს.

მესამე, უზრუნველვყოთ ეს რაიონები კეთილმოწყობილი გზებითა და ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებითა და სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით.

მეოთხე, ინდუსტრიულ დონეზე დავაყენოთ საერთოდ ტურიზმი, მათ შორის საერთაშორისო ტურიზმიც.

**ეკონომიკის გაძღოლაში მთავარია კომპეტენტურობა. იგი გამოუყენებელი რეზერვიც არის და შედეგების შეფასების კრიტერიუმიც.** ვიყოთ გულახდილი: ეკონომიკა უცოდინარობამ დაღუპა, ეკონომიკას უცოდინარობა, არაკომპეტენტურობა დაღუპავს.

გუშინ დეპუტატმა შალვა შანიძემ მთავრობას უსაყვედურა, რომ იგი აგვიანებს თავისუფალი ზონის შემოღებას საერთოდ, კონკრეტულად კი ახალციხის რაიონში, რომელსაც შეუძლია თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდეს. რა უნდა ითქვას ამის შესახებ? ბევრ ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნამ ეკონომიკა ერთგვარად გააჯანსაღა, მაგრამ ეროვნული სულისკვეთება ჩაკლა და ამ ქვეყნების ხალხები სხვის კაპიტალსა და ნებასურვილზე აღმოჩნდნენ დამოკიდებული. უნდა ვიცოდეთ, რომ ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის გამოყენებისას საჭიროა ყოველმხრივ შევისწავლოთ, გავაანალიზოთ იმ ქვეყნის სპეციფიკური პირობები, სადაც მისი დანერგვაა გათვალისწინებული. მე ვთვლი, რომ ამ გზით (თავისუფალი ზონების შექმნის გზით) საქართველო არ უნდა წავიდეს. მას თავისი საკუთარი გზა — სწორი გზა აქვს; ბუნებრივ-საწარმოო, კულტურულ-ფსიქოლოგიური თავისებურებების, ჩვევებისა და ტრადიციების გათვალისწინებით და გააზრებით ახალი ეკონომიკური სტრუქტურის შექმნის გზა. ამ სტრუქტურაში თავისუფალი ზონის ეკონომიკის ზოგიერთი მორგებული ელემენტის გამოყენება არ უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება თურქეთთან სასაზღვრო ვაჭრობის პერსპექტივას, მოგახსენებთ, რომ ამჟამად მუშავდება შესაბამისი პროგრამა.

* * *

**მთავრობის მოღვაწეობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა-ჩამოყალიბებაა.**

მტკიცება არ სჭირდება, რომ განათლების დღევანდელი სისტემა ჩამორჩება დროის ამოცანებს, ამ სისტემით მომზადებული კადრებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს მომავალში ვერ გადავჭრით. ეს განსაკუთრებულ მიდგომას, ერის განვითარების ყველა საყურადღებო ნიუანსის გათვალისწინებას მოითხოვს. ამასთან ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების შეცნობა-გაგებისათვის, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ინტერნაციონალურ პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის სათანადო ინტელექტუალური საფუძვლის მომზადებაა საჭირო.

მთავრობამ აირჩია სწორი გზა: **ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ახალგაზრდობის მომზადების სამომავლო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.** რამდენიმე კაცი წელს გაიგზავნა და გაიგზავნება, ათობით — შემდგომ წლებში. ჩვენ ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ სპეციალისტების მომზადების ეს ფორმა.

რაც შეეხება მეცნიერებას, მისი განვითარება ძირითადად უნდა დაექვემდებაროს რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის ჰარმონიული განვითარების ამოცანებს.

**მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის, განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივა გვარწმუნებს, რომ თუ გვსურს მისი ჭეშმარიტი წინსვლა, უფრო ქმედითი, არასტანდარტული გზები უნდა ავირჩიოთ.** ჩვენი აზრით, მეცნიერებამ ძირითადად უნდა იმუშაოს მიზნობრივი პროგრამებით, რომლებსაც ხელისუფლება დაუკვეთავს და დააფინანსებს. ამასთან, ძალიან ღრმად და საფუძვლიანად უნდა მივუდგეთ თვით პროგრამების ფორმირებას. ეს ადვილი საქმე არ არის. რადიკალურად უნდა შევცვალოთ მეცნიერთა კადრების მომზადება-ფორმირების სისტემაც. ამ საქმეში ეკონომია დიდი შეცდომა იქნებოდა. რამდენსაც მეტს დავხარჯავთ, მომავალში ათმაგად ავინაზღაურებთ. ეროვნული კულტურის განვითარების კომპლექსურ პროგრამაში, რომელიც ამჟამად მუშავდება, უნდა აისახოს ეროვნული თავისებურებანი, ტრადიციები. განისაზღვროს მათი მაქსიმალურად გათვალისწინების ყველა შესაძლებლობა. ასევე, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტაში ეროვნული პოტენციალის მთლიანად ამოქმედების გზები.

* * *

**მთავრობის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის სათანადო ბუნებრივი, მატერიალური, სოციალური პირობების შექმნა.** ეს სტრატეგიული მიმართულება პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს და მრავალპლანიანი კომპლექსური პროგრამის ფორმირებას და რეალიზებას მოითხოვს. ამ პროგრამაში უნდა აისახოს ყველა საკითხი, დაწყებული ფიზიკური კულტურითა და სპორტით და დამთავრებული თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სადიაგნოსტიკო სამკურნალო დაწესებულებათა მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებით. რესპუბლიკას ჯანმრთელობის მობილური სისტემა უნდა ჰქონდეს. მთავრობის წევრმა ი. მენაღარიშვილმა უნდა დააჩქაროს ჯანმრთელობის განვითარების კონცეფციის შემუშავება და წარმოდგენა.

**განვითარების ხუთივე მიმართულების მთავარი აზრი, მოკლედ თუ ვიტყვით, შეიძლება ასეთი სქემით წარმოვიდგინოთ: კაცი უნდა ცხოვრობდეს სუფთა გარემოში, უნდა მრავლდებოდეს, მატერიალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ასევე — განათლებული, კულტურული და, რაც მთავარია, ჯანმრთელი.**

აი, ასეთია მოკლედ ეროვნული აღორძინებისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის ის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობას უახლოესი პერსპექტივისათვის.

* * *

არის თუ არა რეალური შემუშავებული პოლიტიკა? არის თუ არა სწორი სტრატეგიული მიმართულებანი?

მიმაჩნია, რომ არის.

რა უძევს საფუძვლად ჩემს თამამ ოპტიმიზმს?

რასაკვირველია, **ჯანსაღი ეროვნული ძალების შეკავშირების პერსპექტივა.** მე ერთხელ უკვე ვთქვი ჩემს საჯარო გამოსვლაში და ახლაც გავიმეორებ, რომ **ქართველ ხალხს ბედნიერ მომავლამდე მიიყვანს მხოლოდ სწორ საფუძველზე დამყარებული, ყოველმხრივ გააზრებული, ისტორიული მოსახვევების თავისებურებათა გათვალისწინებით ეროვნულ ნიადაგზე შეკავშირება.** ჩვენს ბრძენ ხალხს აქვს ამის ისტორიული გამოცდილება, წინაპართაგან მიღებული პოლიტიკური ალღო, საზოგადოებაში მიმდინარე რთული პროცესებისადმი შორსმჭვრეტელური მიდგომის უნარი. აი, ეს არის ჩემი ოპტიმიზმის საფუძველი. **ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესი დაიწყო, იგი კიდევ უფრო განმტკიცდება — გაღრმავდება.** თუმცა წინააღმდეგობები, აზრთა სხვადასხვაობა, რასაკვირველია, იყო და არის, მომავალშიც დარჩება სხვადასხვა ხასიათის და სხვადასხვა სფეროში, ადამიანებს შორის.

ჩვენ საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისა და გაერთიანებების მიხედვით დაყოფის ფაქტის წინაშე დავდექით. ამიტომ აუცილებელია მოსაზრებების, პოზიციების, დამოკიდებულებების შეჯერება, კომპრომისების ძიება. **ჩვენ იმას ვუჭერთ მხარს, რომ ერთობლივად განისაზღვროს მოქმედების პერსპექტივა, ურთიერთობების ფორმები, მეთოდები, სწორად გავითვალისწინოთ ნაბიჯები, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავებას. ჩვენ ჯანსაღ ძალებთან თანამშრომლობის პლატფორმაზე ვდგავართ.**

* * *

**ახლა მინდა ვუპასუხო კითხვას, არის თუ არა მთავრობა მზად გადაწყვიტოს განსაზღვრული ამოცანები?**

**მართვის ვერც ერთი მექანიზმი, როგორი გამართულიც უნდა იყოს იგი, განვითარების ვერც ერთი მიმართულება, როგორი პროგრესულიც უნდა იყოს, ეკონომიკისა და კულტურის ეფექტიან ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის გარეშე. აქ უნდა გამოვყოთ რამდენიმე მომენტი.**

**პირველი. მთავრობის ყველა წევრის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველა ხელმძღვანელის მოქალაქეობრივი და პარტიული პოზიცია მკაფიოდ გამოკვეთილი უნდა იყოს.** ორპირობა, თვალთმაქცობა ცუდ სამსახურს უწევს ნებისმიერ პოლიტიკას. **ჩვენშიც ბევრს თანამიმდევრული პოზიცია არ ჰქონია, სამწუხაროდ დღესაც არა აქვს. ყველაზე საშიშ სიმპტომად მე ეს მიმაჩნია.**

მეორე. დღეს დაუფარავად ვამბობთ, რომ ხალხსა და ხელმძღვანელებს შორის რეალურად არსებობს ნდობის დეფიციტი. რამ განაპირობა იგი? იმ მოვლენებმა, რომლებიც კარგა ხანია ნეგატიურის სახელით მოვნათლეთ, მაგრამ მათს წინააღმდეგ ბრძოლას თანამიმდევრული ხასიათი ვერა და ვერ მივანიჭეთ. ბევრს ხელს აძლევს ასეთი ვითარება. ამიტომ ამ პროცესებს მხოლოდ ლოზუნგებით და გადაწყვეტილებებით, ეროვნულ მოთხოვნათა დონეზეც რომ ავწიოთ, ვერ შევაჩერებთ.

ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის ზნეობრივი მხარე სათუთ და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მთავარია იმ წყაროების მოსპობა, რომლებიც ნეგატიურ პროცესებს კვებავს. ეს არის კორუფციის, მექრთამეობის, პროტექციონიზმის, ავანტიურიზმის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული დაავადება, რომელიც მართვის ყველა საფეხურზე ზნეობრივი დეგრადირების ფაქტორად იქცა. ხელმძღვანელის მორალური სახე არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

რწმენის, ერთგულებისა და ნდობის გარემოს გარეშე ვერც ერთ ამოცანას, მით უმეტეს ისტორიულს, ვერ გადავწყვეტთ. ამიტომ ყველა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ იმას, რაც ძირს უწევს ხელმძღვანელის ავტორიტეტს. მე როგორც თითოეული თქვენთაგანი, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ვინმეს მხარდაჭერით შეიძლება ავტორიტეტი შეიქმნას საერთოდ. არა! მისი ხელოვნურად ფორმირება არც ერთ ძალას არ შეუძლია. ასე იყო ოდითგანვე. ქართველი ხალხი ჭეშმარიტი ერის შვილებს შესაფერ სახელებს არქმევდა: დიდი, აღმაშენებელი, ბრწყინვალე, თავდადებული, ან უბრალოდ, სახელით მოიხსენიებდა მათ: თამარი, შოთა, კახაბერი, ცოტნე, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე.

ავტორიტეტი დიდი ძალაა, მაგრამ თუ ის ნამდვილი არაა, საზოგადოებრივი აზრის პირველი ბიძგისაგან იმსხვრევა, როგორც ყველაფერი, რაც ფუყეა და ხელოვნური. პოლიტიკური ცხოვრების მწარე გამოცდილებით ჩვენ ეს ბევრჯერ განვიცადეთ.

მთავრობის წევრი, ყველა ხელმძღვანელი ავანტიურიზმს უნდა ებრძოდეს, რადგან სწორედ იგი კვებავს პოლიტიკურ ტრაგედიებს, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული გონიერება, თანამიმდევრობა და სწორად წარმართვა სჭირდება. ავანტიურიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ რეზერვი — კანონისადმი პატივისცემის აღზრდა.

მთავრობის წევრს, საერთოდ, ხელმძღვანელს ყველა აუცილებელ თვისებასთან ერთად, ჩემი აზრით, ერთი განსაკუთრებული თვისებაც უნდა ჰქონდეს: უნარი იმისა, რომ მიუტევო კაცს, ყოველთვის და ყველაფერში პირად გრძნობებზე, პირად წყენაზე მაღლა დადგეს, როცა ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დეფორმაციამ ეს თვისება იშვიათობად აქცია. მით უფრო უნდა გავუფრთხილდეთ სადღეისოდ ამ უნიკალურ თვისებას.

ჩვენ ერთი ცუდი ჩვევაც გვჭირს. გუშინდელ დღეს ვაგინებთ, თანამდებობიდან გადამდგარ კაცს ზედ არ შევხედავთ, ეკუთვნის თუ არა, ვლანძღავთ, ყველაფერს მას ვაბრალებთ. საზოგადოებრივი ასპარეზიდან წასული, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც გუშინ დეპუტატმა ჯანსუღ ჩარკვიანმაც თქვა, გაულანძღავი ვერავინ შევინარჩუნეთ. ვისგან ან რატომ ვისწავლეთ? ეს ხომ ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელი არ იყო არასდროს. დაფიქრება გვმართებს.

ნებისმიერი პოლიტიკის ბედს ხელმძღვანელი კადრები წყვეტენ. ამ დებულებას ყველა და ყოველთვის აღიარებდა, მაგრამ მათი მომზადების სრულყოფილი სისტემა დღესაც არ გვაქვს. ამიტომაა, რომ პოლიტიკის ბედი შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ამას ადასტურებს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორია. დღეს აუცილებელია განსხვავებული შეხედულებების მქონე კადრებთან მუშაობა ვისწავლოთ, რადგან მორჩილად კვერის დამკრავთა სიმრავლემ გამოიწვია ნდობის ის დეფიციტი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

კიდევ ერთი მომენტის შესახებ. არ მჯეროდა და დღესაც არ მჯერა მათი, ვინც პოლიტიკაში მთელ თავის ენერგიას, ნიჭსა და მონდომებას ახმარს ბეწვის ხიდზე გასვლის ხელოვნების შესწავლას მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი მდგომარეობა შეინარჩუნოს.

ამასთან დაკავშირებით, როგორია ჩვენი პოზიცია? მხოლოდ საქმე და შედეგი, პატიოსნება და თავდადება, პრინციპულობა და კეთილშობილება, საკუთარი შეცდომების ანალიზი და დაგმობის ვაჟკაცობა, სხვისი აზრების პატივისცემა და კომპრომისების გამონახვის უნარი. სწორედ ამ და ყველა კარგ ადამიანურ თვისებასა და მიზანზე დაფუძნებულ მაღალ ნიჭიერებას გზა ფართო უნდა მისცეს მთავრობამ. ესეც პოზიციაა. ჩვენ ამ პოზიციას თანამიმდევრულად დავიცავთ.

დღეს შეიძლება ასეთი კითხვაც დაიბადოს — თქვენ გჯერათ იმისი, რასაც ლაპარაკობთ? გჯერათ, რომ მთავრობა თავის მიზანდასახულობებს შეასრულებს?

ჩემი პოზიციაა: მჯერა, გულწრფელად მჯერა.

იდეალური, მოგეხსენებათ, არაფერი არ არის, მით უმეტეს, რთულ საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისას, სადაც ყველაფერი ბევრ უხილავ თუ ხილულ ფაქტორთა მოქმედებაზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩემი პოზიციისა მჯეროდა და მჯერა. შეიძლება ისე არ გამოვიდეს საქმე, როგორც მე ვამბობ, მაგრამ მონდომება, თავდადება არ მოაკლდება იმ რთული ისტორიული მისიის შესრულებას, რომელსაც ხალხი თავისი მთავრობის მეთაურს აკისრებს.

## რეპორტაჟი ახალმოსახლეობიდან

# იხარე, ქერო!..

**ის,** რაც აჭარის მთიანეთის მოსახლეობას წელს სტიქიური უბედურებისაგან დაატყდა, ალბათ, ყველა ქართველისთვის ნათელია და ავად მოსაგონარი.

ისიც უნდა ითქვას, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული მთის სოფლების მცხოვრებლებს, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს ვინ არ გაუწოდა დახმარების ხელი, საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეულმა ორგანიზაციებმა თუ უბრალო ხალხმა. განსაკუთრებული ტკივილი კი საქართველოს მთელმა მოსახლეობამ განიცადა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დღეისათვის რესპუბლიკის მთავრობას პირველი ხარისხის ამოცანად მიჩნეული აქვს, რომ როგორმე ზამთრის დადგომამდე საცხოვრებელი თავშესაფარი მიუჩინოს აჭარის დამეწყრილი თუ ღვარცოფით დანგრეული და გაპარტახებული სოფლების ოჯახებს, უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს. ისიც კარგად ვიცით, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ინტენსიური მშენებლობებია გაჩაღებული.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმთავითვე სპეციალური სხდომა მიუძღვნა აჭარის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების კონკრეტულ ღონისძიებებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დიდი წვლილი გაიღო აჭარელთათვის როგორც დროებითი საცხოვრებლების, ასევე ფულადი სახსრების გამოყოფით, რომლებიც გამიზნული იყო დაზარალებული ხალხის სამკურნალოდ თუ გამოსაკვებად.



მაგრამ იმან, რაც ბოლნისის რაიონში მოხდა, შეიძლება ითქვას, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პარტიის ბოლნისის რაიკომისა და რაიონული აღმასკომის შეტყობინებით დადგინდა, რომ ბოლნისის რაიონის აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობის ნება-სურვილით გამოთავისუფლდა რამდენიმე საკუთარი სახლი და კარ-მიდამო, რასაც პროფსაბჭოს ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა აზერბაიჯანელი მოსახლეობისაგან შეესყიდათ აღნიშნული სახლები სწორედ აჭარის მთის სოფლების სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

და აი, სწორედ 15 ნოემბერს აჭარელთა პირველ კოლონას, რომელიც ჯერჯერობით ექვსი ოჯახისგან შედგებოდა, ბოლნისის რაიონის ცენტრალურ ქუჩებზე შეხვდნენ და ახალი კერის შექმნა მიულოცეს საქართველოს პროფსაბჭოს აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სახალხო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა.

ქვემო ქართლის ამ მადლიან მიწაზე აჭარიდან პირველი ჩამოსახლებულები არიან შაინიძეების, რ. ვაშაყმაძისა და შ. ვახტანგურის მრავალშვილიანი ოჯახები.

— საცხოვრებელი სახლები თუ მოგწონთ, ვეკითხებით ჩამოსახლებულებს, და პასუხიც არ ყოვნდება, დიდად კმაყოფილები ვართ. მართლაც, და ამ უძველესი კუთხის — საორბელიანოს ნოყიერ მიწებზე სტიქიით დაზარალებულ ქართველებს საუკეთესო პირობები დახვდათ. ახლად აგებული ორსართულიანი სახლები, მოწყობილი კარ-მიდამოები, ბუნებრივი გაზი თუ წყალგაყვანილობა. ერთი სიტყვით, უკეთეს პირობებს ვერ ინატრებს კაცი.

საქართველოს პროფსაბჭომ დღესდღეობით რესპუბლიკის პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების, ტურიზმის რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს და სხვა საბაზო დარგობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებლად მიიჩნია ბოლნისის რაიონში აჭარელთათვის შეეძინოს და საკუთარ მფლობელობაში გადასცეს 27 საცხოვრებელი სახლი.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის — ამბობს აჭარელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარე შოთა ოქროპირიძე.

სხალთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს იზოლდა სურმანიძეს ერთი სული აქვს, როდის დასცალდება მადლობის გადახდა. მისგან საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები ინტერვიუს იღებენ.

— მადლობას მე კი არა, მთელი აჭარის მოსახლეობა გიხდით მარტო ამ სტიქიით დაზარალებულ სოფელ წაბლანას მკვიდრების შაინიძეების დახმარებისთვის.

ადგილზე სახლების დათვალიერებამ შესაძლებელი გახადა გამოთავისუფლებული სახლის შესყიდვა საბავშვო ბაღისათვის.

დამშვიდობებისას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ეთხოვა ყოველდღიურად ეზრუნა სურსათ-სანოვაგით ჩამოსახლებული ოჯახების მომარაგებისათვის.

სიყვარული სიყვარულისა წილ. გამტანობა, ძმობა და ერთობა, მომავლის რწმენა არ მოჰკლებოდეს ჩვენს ხალხს. ყველა ჩვენთაგანი ამას ნატრობდა, როცა თბილისში ვბრუნდებოდით.

ბედნიერი ყოფილიყოს პირველი ნაბიჯები აჭარელთა ახალმოსახლეობისა საორბელიანოში.

**მარატ ღვალაძე.**



**სურათებზე:** ამ სახლში იცხოვრებს დღეიდან ვაშაყმაძეების ეს მრავალშვილიანი ოჯახი.

**ვარლამ გენგიურის ფოტო.**

# ზეიმი ქორწილით იწყება

**16 ნოემბერი** ერთგვარ ეროვნულ ზეიმად იქცა ცრემლშეუმშრალი ყოველი ქართველისათვის. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მრავალი სტუმარი ეწვია ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხას, სადაც წმინდა გიორგის ეკლესიაში ჯვარს იწერდნენ აჭარიდან ჩამოსახლებული მალხაზ პაპიძე და ჯავახეთის მკვიდრი ლარისა მიქელაძე.

ამ ბედნიერ წყვილს სიხარული გაუასკეცდათ, როდესაც ჯვარისწერის რიტუალისათვის მათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოევლინა.

ასეთი მრევლი არ ახსოვს სოფელ ჩუნჩხის წმინდა გიორგის ეკლესიას. ისტორიის ბედუკუღმართობით, ძალად გამაჰმადიანებული ჩვენი სისხლი და ხორცი აჭარლები ემთხვივნენ ქრისტეს ჯვარს და ქრისტეს რჯულზე შვილების მონათვლა სთხოვეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. ეს იყო მეტად ამაღელვებელი წუთები, რომელსაც ერთნაირად განიცდიდა ქრისტიანი თუ მაჰმადიანი ქართველი.

ჯვარისწერის რიტუალის დამთავრების შემდეგ, რომელსაც განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს მატებდა სიონის საეკლესიო გუნდის გალობა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოაწყო მასობრივი მონათვლის ცერემონიალი. მისი ლოცვა-კურთხევით ამ დღეს მოინათლნენ აჭარლები, ჯავახები, მესხები, სომხები. ეს იყო ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და სომხების ურთიერთსიყვარულის განმტკიცების ზეიმიც.

წმინდა გიორგის ეკლესიიდან მრავალრიცხოვანი მრევლის თანხლებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გაემართა სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ახალსახლობის ადგილებისაკენ.

მან ახალი ჭერი დაულოცა გახარებულ აჭარლებს, ბედნიერება, გამრავლება, ჯანმრთელობა უსურვა მათ. შემდეგ კი აკურთხა საქორწილო სუფრა.

მექორწილე წყვილთა ბედნიერების, ქართველი ერის გაძლიერების, საქართველოს უკვდავების სადღეგრძელო ამაღლებული განწყობილებით წარმოთქვა ხალხმრავალი ქორწილის თამადამ, ჩუნჩხის მკვიდრმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ბორის ლომსაძემ. ქართული სიმღერა აიჭრა ცისკენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ ქორწილის სტუმრები — ქართველები, სომხები. ზეიმობდა საქორწილო სუფრასთან მიწვეული სრულიად საქართველო.

— დღეს ახალქალაქის რაიონის სოფლებში ოკამში, აფნიაში, ჩუნჩხაში, პტენაში, კოთელიაში, გოგაშენში სტიქიით დაზარალებულ მთიანი აჭარის მოსახლეობის ორასი ოჯახი ზეიმობს ახალსახლობას, — გვითხრა ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, მოსახლეობის ჩასახლების რესპუბლიკური შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტარიელ ნიჟარაძემ, — ამ საზეიმო წუთებში საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიან ადამიანები, მოაქვთ საჩუქრები და ჯავახეთის ასაღორძინებლად ჩამოსახლებულ აჭარლებს ახალსახლობას ულოცავენ. დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა აგვჭით, სხვადასხვა საოჯახო ნივთებით დატვირთული 70 ავტომანქანისაგან შემდგარი კოლონა გამოუგზავნეს თანამოძმეებს. ამ დღეებში ასეთივე კოლონა კიდევ გვეწვევა აჭარიდან, საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან. ეს არის პრაქტიკული ხორცშესხმა ქართველი ერის უანგარო დახმარებისა, დიდი შოთას სიბრძნისა — „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“. თუის ბოლომდე გაგრძელდება ახალსახლობის ზეიმი.

შემდეგი ახალსახლობა გაისად განახლდება. ახალქალაქის რაიონში 500-მდე, ხოლო ბოგდანოვკის რაიონში 300-მდე აჭარელთა ოჯახის ჩასახლებას ვითვალისწინებთ. სასიამოვნო წინადადებით მოგვმართეს ბორჯომის სახალხო ფრონტის გამგეობის წევრებმა. მათ გვაუწყეს, სოფელ ბალანთაში ათი სახლი გვაქვს მზად აჭარელთა ოჯახების მისაღებად და ყველა საოჯახო ნივთებითაც უზრუნველვყოფთო. რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებაზე არ ვამბობთ უარს და ვარჩევთ ბალანთაში ჩასახლების მსურველებს.

ქორწილისა და ახალსახლობის შერწყმული დღევანდელი ზეიმი, რომლის მონაწილე სრულიად საქართველოა, ქართველი ერის ტკივილის მკურნალი და მისი უკვდავების მადიდებელია...

**რობერტ ცუცქირიძე,**
**საქინფორმის კორ.**

ახალქალაქი.
16 ნოემბერი.

# რუსთაველთა ნობათი

**რუსთავი,** („კომუნისტის“ საკ. კორ.). სატვირთო ავტომანქანების ქარავანმა გეზი ჯავახეთისაკენ აიღო. მათზე ერთმანეთის მიჯრით აწყვია ათი ცალი საოჯახო მაცივარი „ორსკი“, ამდენივე სამზარეულო გარნიტური. ეს ნობათი რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ აჭარელთა იმ ათ ოჯახს მიუძღვნა, რომლებიც ულმობელმა სტიქიამ მშობლიურ კუთხეს მოწყვიტა და უძველეს ქართულ სოფელ ჩუნჩხაში დასახლდნენ. მათ სახლებიც ინდუსტრიული რუსთავის მშრომელებმა აუგეს თავიანთი სახსრებითა და საშუალებებით გეგმის გარეშე. მთლიანად კი რუსთავის მშრომელებმა ორმოცდაათი სახლი აუგეს ჩამოსახლებულთ. მათი ნაგები ხარისხითაც გამოირჩევა.

მადლობელი ვართ რუსთაველთა ასეთი თანადგომისათვის, — ამბობენ ემზარ, შოთა, მერაბ, ნოდარ პაპიძეები, როინ გელაძე, აკაკი შამანაძე, რამაზ, რევაზ, ლეო, ნოდარ მიქელაძეები. მათ ტკივილი გაგვიყუჩეს და საწუხარი დაგვივიწყესო, თანაც ხალისით შლიან ვრცელ სამზარეულოში რუსთაველთა ნობათს. თითოეულმა ოჯახმა ათას მანეთამდე ღირებულების საჩუქარი მიიღო.

## მეცნიერი მივლინებიდან დაბრუნდა

# ფრანგული დღიური

### წერილი პირველი

[illegible]

ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია) განაგებს ხმოსნების დახმარებითა და მონაწილეობით. ლევილის შატო მიწის იმ ნაკვეთზეა, ახლა რომ პარკს ეძახიან, საუკუნოვანი ცაცხვის ხეივნებით, ბაღ-ბოსტნებითაა დაფარული და ადრინდელი გალავანი აქვს. შატო საკმაოდ ძველი და დიდი შენობაა (ორი სართული მანსარდით), ლუი მეცამეტისდროინდელი სტილისა. სწორედ ეს გალავნიანი პარკი და შატოა დღეს ლევილის ქართული მამული (უფრო დაწვრილებით იხ. ლ. ფაღავა, ლევილის ისტორია, კრებ. „ლევილობა", პარიზი, 1987, გვ. 6-7).

ლევილის ქართული მამულის ისტორია 1922 წლიდან იწყება. როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში საფრანგეთს გაიხიზნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარის მამია ბერიშვილის თქმით, „დაბინავდა რა საფრანგეთში, პარიზში, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით გადაწყვიტა ეყიდა პატარა მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრებად დარჩებოდა. ამ მიზნით, 1922 წლის 24 ივნისს, ნიკოლოზ ჟაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე შეიძინეს ის პატარა მამული, რომელსაც დღეს ლევილის „ქართული კერა" ეწოდება. ჩქარა ცვლილება მოხდა, როცა ბენია ჩხიკვიშვილი სადღაც ბაქოსა და როსტოვს შორის დახვრიტეს (ბ. ჩხიკვიშვილი ჩამოვიდა საფრანგეთიდან საქართველოში და მონაწილეობა მიიღო 1924 წლის ცნობილ ამბოხებაში, — გ. შ.), მთავრობა იძულებული გახდა მოენახა რაღაც ახალი სისტემა მამულის მმართველობისა..." (მ. ბერიშვილი, ლევილის ქართული მამული, „ლევილობა", პარიზი, 1987, გვ. 6).

და აი, 1928 წელს შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა) წარმომადგენლების 7-წევრიანი კომისია, სახელდობრ, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, საფრანგეთში საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, ეროვნულ-დემოკრატის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის, საქართველოს საგა-

[illegible] ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი — ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1. მამული, მდებარე სოფ. ლევილში (Leuville s/Orge) საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში და ცნობილი სახელწოდებით „Chateau de Leuville" („ლევილის შატო"), რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს 1927 წ. საზოგადოების „Foyer Géorgien"-ის („ქართული კერის") მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ, ზემოთ აღნიშნულნი პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ, მიწა ზომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგმურთა მიერ საკუთარის ხარჯით არის შეძენილი.

2. ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის სავსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ (ე. ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვ.) და საზოგადოების Foyer Géorgien-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3. არც ჩვენ პირადათ და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების „Foyer Géorgien"-ის დადგენილებისა.

4. ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე „Foyer Géorgien"-ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით § 2-ში, გარნა ყოველგვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5. უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების „Foyer Géorgien"-ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ. (Fr. 25.000) „Foyer Géorgien"-ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს Foyer Géorgien-ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა, ამის და მიხედვით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და „Foyer Géorgien"-ის წინაშე.

1. ნოე ჟორდანია, 2. აკ. ჩხენკელი, 3. ნ. რამიშვილი, 4. ექვთიმე თაყაიშვილი 5. ევგენი გეგეჭკორი, 6. ს. ფირცხალავა, 7. კ. კანდელაკი".

მას შემდეგ 60 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ლევილის მყუდრო სავანეში მრავალმა ქართველმა ლტოლვილმა ჰპოვა თავშესაფარი. შატოს გარდა, ქართველთა ამ ხუთჰექტრიან მამულში დგას სხვა კოპწია ნაგებობანი, რომელთა ერთ ნაწილში ქართული სტამბა და წიგნთსაცავია, დანარჩენი კი საცხოვრებლად არის გამოყენებული, ხოლო ძველი შენობების ნაწილი უსახსრობის გამო მიტოვებულია და აღდგენას საჭიროებს.

სწორედ აქ მელოდებოდა ლევილის ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარე ბ-ნი მამია ბერიშვილი.

...მამია ბერიშვილი 1917 წლის 15 მაისს დაბადებულა გურიაში, სოფელ შუა სურებში. მისი დედა მართა ნოე რამიშვილის და გახლდათ, მამა ნესტორ ბერიშვილი კი შეძლებული გლეხი. 12 დაძმაში მამია ყველაზე უმცროსი ყოფილა. უფროსი ძმა მალაქია კოჯორთან დაღუპულა 1921 წლის თებერვალში, ხოლო უფროსი დის — ოლღას შვილები არიან ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ბორის ხვედელიძე და მედიკოსი დოცენტი გივი ხვედელიძე. მომდევნო ძმა — შალვა 1924 წლის ამბოხების აქტიური მონაწილე იყო, ორი ათეული წელი ემიგრაციაში დაჰყო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდხანს რეპრესირებული იყო, სულ ორი თვეა, რაც 90 წელს გადაცილებული გარდაიცვალა თბილისში. მესამე ძმა — ჰიათურაში მათემატიკის მასწავლებელი ტიტე ბერიშვილი (სხვათა შორის, მისი მოწაფე იყო აკად. ს. დურმიშიძე) გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს ვარშავაში 1939 წელს, ხოლო ბიკენტი დაიღუპა ტყვეობაში, რუმინეთში, 1943 წელს. მათი მომდევნო და ნინო 1949 წელს უსასრულო დაკითხვებისა და წამების დროს, დაუხრჩვია შინსახკომის თავკაცს რუხაძეს, ხოლო დედა — მართა რამიშვილი შუა აზიაში გადაასახლეს და 86 წელს მიწევნილი თორმეტი შვილის დედა სადღაც ყაზახეთის ტრამალებში ჩაჰკლეს... შალვა და გერონტი ბერიშვილების შთამომავლები დღეს თბილისში ცხოვრობენ, ხოლო გადასახლებაში დიდხანს ნაწამები მეათე ძმა — ნოე თავისი ოჯახით სურებში მამაპაპეულ კერას არ აციებს.

არც მამიას დასდგომია კარგი დღე: 13 წლის სურებელი ყმაწვილი 21 თვე და 5 დღე თბილისის საპატიმროებში ჰყოლიათ დამწყვდეული, შემდეგ გამოუშვიათ. საშუალო სკოლა თბილისში ექსტერნად დაუმთავრებია, 1934 წელს უფის სამედიცინო ინსტიტუტში შესულა, ორი წლის შემდეგ სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გაუგრძელებია და 1941 წელს, ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ომში გაუწვევიათ. სევასტოპოლში ტყვედ ჩავარდნილა, აქედან პოლონეთში ჩაუყვანიათ, ხოლო ნოე ჟორდანიას შემწეობით 1943 წელს საფრანგეთში მოხვედრილა. აქ იგი მოხალისედ შესულა ფრანგულ ჯარში და ორი წელი ფაშისტების წინააღმდეგ უბრძოლია. ამჟამად მამია ბერიშვილი ლევილში ცხოვრობს, ლევილის ქართული კერის ასოციაციის თავმჯდომარეა (1985 წელს მან ამ პოსტზე შეცვალა „ლევილის დედა" — ნამეტია ბერძენიშვილი-გოგუაძისა), 1959 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს უცვლელი მდივანია. ჰყავს ფრანგი მეუღლე ქ-ნი ქრისტიანი, რომელსაც ადგილობრივი ფრანგები „მადამ ბერის" (ქალბატონ ბერიშვილს) ეძახიან. იგი მხარში უდგას ბ-ნ მამია ბერიშვილს, აწარმოებს ქართული ასოციაციის ფრანგულ ოქმებს, ერთგულად უვლის ლევილის ქართველთა სამმო სასაფლაოს. მათი შვილი ტიერ ბერიშვილი ლევილთან ახლოს, დაბა ბრეტინში ცხოვრობს ცოლ-შვილიანად: უფროსი ვაჟი რემი 11 წლისაა, უმცროსი ფაბიენი კი 8 წლისა. ქართული ენის სასწავლად ბიჭები ბრეტინიდან ლევილში დადიან ქ-ნ ლიდა შარაშიძე-ნოზაძესთან...

ბ-ნ მამია ბერიშვილს პირველად არ შევხვედრივარ. ჯერ კიდევ 1987 წლის გაზაფხულზე მომეცა მისი გაცნობის საშუალება. სწორედ მაშინ გადმომცა მან საარქივო დოკუმენტების უძვირფასესი დასტა (სულ 51 დედან-დოკუმენტია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), რომლის გარეკანზე ეწერა „ინგლისის ვალი".

რა ვალი მართებს ჩვენი ინგლისს?

**საქმე ეხება 1918-19 წლებში ინგლისის ჯარების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზით სარგებლობისათვის აღებულ ვალს — მაშინდელი კურსით 78 ათას გირვანქა სტერლინგს (უფრო ზუსტად 78.017-18-11 გირვანქა სტერლინგს), რომელიც დღემდე დაუბრუნებელია. მ. ბერიშვილი გვთავაზობს, რომ თუ საქართველოს ახლანდელი მთავრობა ამ დედან-დოკუმენტების საფუძველზე მოახერხებს ფულის უკან დაბრუნებას ინგლისის ბანკიდან (რომელიც დღევანდელი კურსით და ბანკის 70-წლიანი მონაგებით საკმაოდ სოლიდური თანხაა!), პარიზის ქართული ემიგრაცია წერილობით უარს იტყვის მასზე და მიესალმება ამ აქტს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის.**

ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველ პოლიტიკურ და ეროვნულ მოღვაწეთა (ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ექ. თაყაიშვილი, ე. გეგეჭკორი, ს. ფირცხალავა, კ. კანდელაკი) 1928 წლის 30 აპრილის ზემოთმოყვანილი ანდერძი, რომლის თანახმად ლევილის შატო და მამული ეკუთვნის საქართველოს. ლევილის ქართული კერის ასოციაცია მზად არის დღესვე დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, **რათა ლევილის შატო და მამული, რომელიც ბ-ნ ლევან ფაღავას თქმით, 500 მილიონზე მეტ ფრანკად შეიძლება შეფასდეს, იურიდიულად სათანადოდ გაფორმდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის სახელზე, რათა ისარგებლონ საფრანგეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად ჩასულმა ქართველმა მეცნიერებმა თუ სტუდენტებმა.**

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ბ-ნი მამია ბერიშვილი გახლავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის ერთ-ერთი მესვეური. ძირითადად მასვე აბარია ლევილში დაცული ემიგრანტული ქართული პრესისა და ლიტერატურის (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები) მეტად მდიდარი კოლექცია.

სამწუხაროდ, ჩვენში საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ არქივის ისტორიასა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე. ამიტომ შევეცდებით უცხოეთში არსებულ პირველწყაროებსა და პუბლიკაციებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად მეტი სიცხადე შევიტანოთ მასში.

1921 წლის მარტიდან, როცა ეროვნულმა მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია და საფრანგეთს (პარიზს) გაიხიზნა, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფო არქივს განაგებდა თვით ეროვნული მთავრობის წევრებისაგან შემდგარი კომისია, ხოლო შემდეგ ნოე ჟორდანიას წინადადებით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის შრომის მინისტრი გიორგი ერაძე (1882-1971) დაინიშნა არქივისა და წიგნთსაცავის მომვლელ-შემნახველი კომისიის თავმჯდომარედ და წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას. კომისიის მდივანი იმთავითვე გახლდათ ზაქარია ჩიჩუა (1876-1952).

1944 წლის 1 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ხელმოწერით პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ინსტიტუტს შესანახად ჩაბარდა ქართული არქივი, რის გამოც იმჟამად ფრანგულ ენაზე შედგენილ ორმხრივ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„ბატონი გეგეჭკორისგან მიღებულია და აღმოსავლური ენების ინსტიტუტის №5 სხვენში მოთავსებულია 20 (გადაშლილია და ზემოდან დაწერილია 21) ყუთი ქართული წიგნებისა და ქაღალდებისა ომის დამთავრებამდე.

მხოლოდ ბატონებს გეგეჭკორს, ჟორდანიას, ჩხენკელსა და კანდელაკს მიუწვდებათ ხელი ზემოთხსენებულ დოკუმენტებზე ადგილზე შენახვის განმავლობაში.

მხოლოდ ამ პიროვნებებს შეუძლიათ მოთხოვნა ამ ყუთებისა; თუ ისინი წინააღმდეგნი იქნებიან შენახვის ქირის გადახდისა, წარმოდგენილ ყუთებს უკან მიიღებენ".

ამავე დოკუმენტს ზემოთ მარჯვენა კუთხეში, როგორც მ. ბერიშვილმა გადმოგვცა, კ. კანდელაკის ხელით ქართულად მიწერილი აქვს: „გამოტანილია 1955 წლის იანვარში დიდი წყალდიდობის გამო". დაზიანებული არქივი გასაშრობად და გადასარჩევად გადატანილ იქნა ლევილში, სადაც ისევ მოხდა სრული კატალოგიზაცია და შესანახად ჩაბარდა საფრანგეთის ეროვნულ არქივს.

1958 წლის 22 მარტს, პარიზში, საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალურ დირექტორთან შარლ ბრებანთან საფრანგეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა (1874-1959) და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ყოფილმა პირველმა მდივანმა სოსიპატრე (პიჭიკო) ასათიანმა (1876-1971) საქართველოს მთავრობის არქივის შესანახად დადეს ხელშეკრულება შემდეგი 7-მუხლიანი პირობით:

1. შესანახად მიბარებული არქივის სახელწოდება იქნება SAKAR-GE",
2. ყუთების რაოდენობა არ უნდა გადაცილდეს ოცს (20);
3. არქივი იქნება შენახული 30 წლის განმავლობაში ჩაბარების დღიდან;
4. დოკუმენტები რჩება ჩამბარებლების (დეპოზიტორების) განკარგულებაში, და ვადის გათავებამდე მისი გამოტანა შეიძლება (რაიმე საგანგებო შემთხვევის გამო) დეპოზიტორების მოთხოვნით;
5. დოკუმენტები შენახულ იქნება უფასოდ;
6. 30 წლის გასვლის შემდეგ არქივი გადაეცემა თბილისის უნივერსიტეტს;
7. არქივის დეპოზიტორები არიან: კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, გიორგი ერაძე, ნოე ცინცაძე და სოსიპატრე ასათიანი.

თუ ამ ხნის (1958 წლიდან 30 წლის) განმავლობაში ამ კომისიის ერთი ან რამდენიმე წევრი გარდაიცვალა, მათი შემცვლელები დასახელებული იქნება ამ კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ".

ამ ხელშეკრულება-დოკუმენტს ხელს აწერენ აკაკი ჩხენკელი და სოსიპატრე ასათიანი.

მაშასადამე, როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, 1958 წლის 22 მარტს, საქართველოს მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის შემადგენლობაში შედიან კ. კანდელაკი, აკ. ჩხენკელი, გ. ერაძე, ნ. ცინცაძე და ს. ასათიანი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ავადმყოფობის გამო ს. ასათიანმა ვერ შეძლო მუშაობა და თავისი რწმუნება მანდატით გადასცა მამია ბერიშვილს. ასე რომ, სოსიპატრე ასათიანის (1876-1971) ნაცვლად არქივის კომისიის მუშაობაში 1958 წლიდან ჩაერთო მამია ბერიშვილი.

სულ მალე, 1958-59 წლებში, გარდაიცვალა კომისიის ორი წევრი კ. კანდელაკი (1883-1958) და აკ. ჩხენკელი (1874-1959), რომელთა შესაცვლელად როგორც დეპოზიტორები, 1959 წლის 17 აპრილს წარადგინეს ახალი წევრები — პავლე სარჯველაძე და ლევან ფაღავა. მაშასადამე, 1959 წლისათვის კომისია წარმოდგენილია ასეთი შემადგენლობით: გიორგი ერაძე (თავმჯდომარე), ნოე ცინცაძე, სოსიპატრე ასათიანი (მამია ბერიშვილი), პავლე სარჯველაძე, ლევან ფაღავა. ამათ გარდა, კოოპტაციის წესით, კომისიის წევრად მიიღეს მიუნხენში მცხოვრები კარლო ინასარიძე. საარქივო კომისიის ეს შემადგენლობა 1969 წლამდე უცვლელი დარჩა.

1969 წლის 23 მარტს ლევილში მოუწვევიათ საარქივო კომისიის გაფართოებული კრება, რომელზეც საარქივო კომისიის გამგე გიორგი ერაძე ოფიციალურად გადადგა და საარქივო კომისიის ახალ გამგედ აირჩიეს მამია ბერიშვილი, ხოლო კომისიის ორ ახალ დამატებით წევრად — ვალიკო ჩუბინიძე და გრიშა ლომაძე. ამ კრების ოქმში ვკითხულობთ:

„1969 წელი 23 მარტი, სოფელი ლევილი

Rue Jules Ferry № 10.

დამოუკიდებელ საქართველოს ყოფილ მთავრობის არხივის მომვლელ მეპატრონეთ კომისიის წევრთა კრება, რომელიც შესდგა ნაშუადღევის 3 საათზე, კომისიის თავმჯდომარე — გ. ერაძის ბინაზე.

დაესწრნენ: 1. გ. ერაძე, 2. პ. სარჯველაძე, 3. ლ. ფაღავა, 4. მ. ბერიშვილი, 5. ვ. ჩუბინიძე, 6. ნ. ცინცაძე. ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ს. ასათიანი.

დღის წესრიგი: 1. მდგომარეობა არხივის; 2. არხივის შემნახველ-მომვლელ კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობა იქმნეს ახლავე განსაზღვრული; 3. იქმნეს ახლავე დანიშნული ჩემი შემცვლელი ლევილში არსებული არხივის მომვლელ-მეპატრონე კომისიის თავმჯდომარე; 4. კრებაზე წაკითხულ იქნას ტექსტი პირობის; 5. არჩეული იქნეს ორი წევრი კომისიის და მიეცეს მათ მანდატი კომისიის სახელით, რათა წავიდნენ სადაც ჩვენი არხივი ინახება და შეამოწმონ.

უწყებაში მოხსენებული დღის წესრიგი კრებამ დაამტკიცა, რის შემდეგაც კომისიის კრებას გ. ერაძემ გააცნო არხივის დღევანდელი მდგომარეობა.

1969 წელი, 23 მარტი.

ჩვენ ჩავაბარეთ ჩვენი მთავრობის და ლეგაციის დოკუმენტები საფრანგეთის ნაციონალურ არხივში 11 **ყუთი** დოკუმენტებით. თანახმად პირობისა უნდა შეინახონ 30 წელიწადი (იხილეთ პირობის წერილი). ჩვენ გვაქვს უფლება შევგვინახონ **20 ყუთი.** 1969 წელს 10 ივლის (!) კიდევ ჩავაბარეთ **5 ყუთი,** კიდევ შეგვიძლიან ჩავაბაროთ **4 ყუთი.**

კრებამ დაადგინა: დაევალოს არსებულ წიგნ-საცავ-არხივის გამგეობას გაამზადონ არხივში გასაგზავნათ ის 4 ყუთი დოკუმენტების, რომელშიც აწყვია გადარჩეული.

საჭიროდ ვცნობთ, სანამ ჩვენ წავიღებთ გადარჩეულ ყუთებს არხივში, წინასწარ გავგზავნოთ ერთი ან ორი წევრი კომისიისა და ნახონ რა მდგომარეობაშია ის 11 ყუთი, რომელიც დიდი ხანია იქ არის, თუ საჭიროთ დარჩეს, გავხსნათ ერთი ან ორი ყუთი სანახავათ თუ როგორ არის შენახული, — ჩვენ არც ამას არ უნდა დავერიდოთ.

არქივი და ბიბლიოტეკა, წიგნთსაცავის კომისიის კრებამ დაადგინა, რომ მე ჩავაბარო და დანიშნულმა კაცმა აიღოს თავის თავზე მოვლა-პატრონობა, იმ უფლება-მოვალეობით, რითაც მე ვსარგებლობდი. ეს პიროვნება იყო და არის მამია ბერიშვილი.

რადგან ადგილობრივ არქივის და წიგნსაცავის გამართვას და მოვლას დასჭირდება თანხები, ამიტომ გამგემ შეადგინოს ზერელე დაახლოვებითი ხარჯ-აღრიცხვა და ჩვენთან ერთად შეუდგეს ამ თანხების შოვნას.

დადგენილი იქნა, რომ მ. ბერიშვილი, რომელიც დანიშნულია ჩემს ადგილზე, დაევალოს(!) წიგნსაცავ-ბიბლიოთეკა-არხივის გამგეთ. ჩაიბაროს რაც კი არხივში გვაქვს. მე ამ საქმიდან ვიქნები განთავისუფლებული.

არქივის მომვლელ კომისიის სახელით: გიორგი ერაძე".

გ. ერაძე არ დაკმაყოფილებულა ამ ოქმით და 1970 წლის 4 ივნისს არქივის საქმეში ჩაუკერებია ახალი საბუთი:

„**არხივის საქმეში.**

ერთი კარგი, მოხდა, რომ თქვენის დახმარებით **ჩემს მაგივრათ დანიშნული იქნა არხივის გამგეთ მამია ბერიშვილი.**

ამ დადგენილების შემდეგ მე მას ვეხმარები, სანამ ყველაფერს წესრიგში მოიყვანდეს და ჩაიბარებს, თუმცა, ფაქტიურათ ახლაც მას აბარია.

მე მინდოდა არხივის კომისიისთვე გამეცნო არხივის ძველი და ახალი ანგარიშები.

გ. ერაძე

4. VI. 1970".

ამას გარდა, გიორგი ერაძემ არ დააყოვნა საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალური დირექტორისათვის — ანდრე შამსონისათვის 1969 წლის 22 ოქტომბერს ოფიციალურად ეცნობებინა საქართველოს მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის ახალი შემადგენლობა: გიორგი ერაძე, ნოე ცინცაძე, სოსიპატრე ასათიანი, ლევან ფაღავა, პავლე სარჯველაძე, ვალიკო ჩუბინიძე, მამია ბერიშვილი, გრიშა ლომაძე.

მალე კომისიას გამოაკლდა ორი ძველი ავტორიტეტული წევრი — 1971 წელს გარდაიცვალნენ გიორგი ერაძე და სოსიპატრე ასათიანი.

ასე რომ, მამია ბერიშვილმა განაგრძო გიორგი ერაძის სიცოცხლეში საარქივო კომისიის 1969 წლის 23 მარტის კრების გადაწყვეტილებით დაკისრებული მოვალეობის აღსრულება. მასვე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ დაუტოვა 1949 წლის 8 მარტს ვანვში (პარიზთან ახლოს) ფრანგულ ენაზე შედგენილი, მის მიერვე ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთი შინაარსის მანდატი:

„ვანვი, 1949 წლის 8 მარტი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ვნიშნავ: ბატონ მამია ბერიშვილს საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად და, ამ უფლებით, ის სრული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები აღნიშნული მთავრობის სახელით, მისი უმაღლესობის ბრიტანეთის მთავრობასთან და აგრეთვე ყველა ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ უწყებებთან და პირებთან ყველა ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხზე, რომლებიც ეხება საქართველოს.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია".

**გურამ შარაძე.**

▼▼

**სურათებზე: ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა 1928 წლის 30 აპრილის ანდერძი (ფრაგმენტები); ლევილის შატო; ნ. ჟორდანიას მანდატი, გაცემული 1949 წლის 8 მარტს მამია ბერიშვილის სახელზე.**

1. მამული, მდებარე ს-ფ. ლევილში (Leuville s/Orge), საფრანგეთში, [illegible] „Chateau de Leuville", [illegible] 10 თებერვალს 1927 წ. [illegible] „Foyer Géorgien"-ის [illegible]

1. ნ. ჟორდანია
2. აკ. ჩხენკელი
3. ნ. რამიშვილი
4. ექვთიმე თაყაიშვილი
5. [illegible]
6. ს. ფირცხალავა
7. [illegible]



RÉPUBLIQUE GÉORGIENNE

LE PRÉSIDENT DU GOUVERNEMENT

Vanves, le 8 Mars 1949

Je soussigné, Noé JORDANIA, Président du Gouvernement National de Géorgie, nomme : Monsieur Mamia BERICHVILI comme representant du Gouvernement National de Géorgie et à ce titre, pleins pouvoirs lui sont conférés de traiter au nom du dit gouvernement, avec le gouvernement de sa Majesté Britannique ainsi qu'avec les différentes institutions et personnalités politiques de toutes les Nations sur toutes les questions nationales et politiques concernant la Géorgie

Le Président du Gouvernement National de Géorgie

N. Jordania

# უცხოეთში

[illegible]

● მალტა

## [illegible]

[illegible]

● ჩეხოსლოვაკია

## საპროტესტო მანიფესტაცია

**პრაღა.** ორშაბათს პრაღის ცენტრში გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიც, ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის ცნობით, 200 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ისინი ვაცლავის მოედანზე იმისათვის მოვიდნენ, რომ გამოეთქვათ პროტესტი 17 ნოემბერს პრაღელ სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ ძალთა მოქმედების წინააღმდეგ.

გამართულ მიტინგზე გაისმა მოქალაქეთა უკმაყოფილება გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის მიმდინარეობით, პრინციპული უთანხმოება სახელმწიფო ორგანოების ღონისძიებებისადმი. დემონსტრანტებმა მოითხოვეს თავისუფალი არჩევნების მოწყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკაში პოლიტიკური პლურალიზმის შემოღება, გამოთქვეს უკმაყოფილება მთავრობის საქმიანობის გამო.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ვ. მოჰორიტა. მან წაიკითხა განცხადება, რომელიც ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს საგანგებო სხდომაზე მიიღეს. მასში, კერძოდ, წამოყენებულია მოთხოვნა ობიექტურად გამოიძიონ 17 ნოემბერს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ძალების მოქმედება, ამ მიზნით დაუყოვნებლივ შექმნან ფედერალური კრების კომისია, რომელიც გულდასმით გაარკვევს ზემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას.

● აშშ

## პერეს დე კუელიარის განცხადება

**ნიუ-იორკი.** ღრმა წუხილი გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა იმის გამო, რომ ამჟამად არც უშიშროების საბჭოში, არც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მხარეთა შორის არ არის საკმარისი თანხმობა ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო საზავო კონფერენციის მოსაწვევად. აქ გავრცელებულ მის მოხსენებაში, რომელიც გენერალური ასამბლეის 44-ე სესიაზე ახლო აღმოსავლეთის ვითარების მომავალ განხილვას ეძღვნება, აღნიშნულია შარშან მიღებული რეზოლუციის მნიშვნელობა. რეზოლუციაში მოწონებულია 1988 წელს ალჟირში გამართული პალესტინის ეროვნული საბჭოს საგანგებო სესიის შედეგები.

● ბელგია

## საბჭოთა ეკონომისტთა ვიზიტი

**ბრიუსელი.** ევროპის გაერთიანებათა კომისიის მოწვევით ბრიუსელში ჩამოვიდა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის აკადემიკოს ლ. აბალკინის მეთაურობით.

ისინი მონაწილეობას მიიღებენ ევროპის გაერთიანებათა კომისიის მიერ გამართულ სემინარში თემაზე „სსრ კავშირის ეკონომიკური რეფორმა და ევროპის გაერთიანებებთან თანამშრომლობის პერსპექტივები".

ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ლ. აბალკინის შეხვედრებს ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარესთან ჟ. დელორთან, კომისიის წევრთან ფ. ანდრიესენთან, რომელიც საგარეო კავშირურთიერთობის საკითხებს განაგებს, ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრთან ვ. კლოსთან.

● საფრანგეთი

## მემარჯვენეთა დემარში

**პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმების უმრავლესობით უარყო სოციალისტ მიშელ როკარის მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია, რომელიც მემარჯვენე ოპოზიციამ შეიტანა. ამრიგად, 1990 წლის ბიუჯეტის პროექტი მიიღეს პირველი წაკითხვით.**

მემარჯვენეთა დემარში იყო პასუხი კაბინეტის მეთაურის იმ გადაწყვეტილებაზე, რომ საფრანგეთის კონსტიტუციის 49-3 მუხლი გამოეყენებინა ეროვნულ კრებაში 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პირველი წაკითხვით დასამტკიცებლად. მუხლის თანახმად, მთავრობას შეუძლია ნებისმიერი კანონპროექტის მოწონება დაუკავშიროს ნდობის საკითხის დაყენებას. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები შემდგომი ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ შეიტანენ უნდობლობის რეზოლუციას, საკანონმდებლო აქტი განუხილველად მიღებულად ითვლება.

მემარჯვენე პარტიების — რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების და საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირის, — წარმომადგენლებმა, რომლებმაც დააყენეს უნდობლობის საკითხი, როგორც მოელოდნენ, სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, რამდენადაც მათ არა აქვთ უმრავლესობა ეროვნულ კრებაში, ხოლო პარლამენტარებმა საფრანგეთის კომპარტიისაგან მხარი არ დაუჭირეს მათ რეზოლუციას.

### ფოტოინფორმაცია



● **დიდი ბრიტანეთი.** ასტრონავტობის ოთხი ბრიტანელ კანდიდატთაგან მხოლოდ ერთი მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ერთობლივ კოსმოსურ ექსპედიციაში, რომელსაც „ჯუნო" უწოდეს. მათი სახელები ამას წინათ გამოაცხადეს ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე. ესენი არიან: სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების ექიმი გორდონ ბრუქსი, სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი ტიმოტი მეისი, საკონდიტრო ფირმის „მარსის" ტექნოლოგი ჰელენ შარმენი და კინგსტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი კლაივ სმითი. საბჭოთა კავშირში ისინი კიდევ ერთხელ გაივლიან მკაცრ სამედიცინო შემოწმებას. საბოლოოდ მათგან მხოლოდ ორი შეუდგება საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად მზადებას 1991 წლისათვის დაგეგმილი ფრენისათვის.

სურათზე: კოსმოსური ექსპედიციის „ჯუნოს" კანდიდატები (მარცხნიდან მარჯვნივ) კლაივ სმითი (27 წლის), ჰელენ შარმენი (26 წლის), გორდონ ბრუქსი (38 წლის), ტომიტი მეისი (33 წლის).

რეიტერ-საქდესის ფოტო.

### ტელეტაიპის ლენტიდან

● **კარაკასი.** **ვენესუელის დედაქალაქში გაიხსნა შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესი.** მის მუშაობაში მონაწილეობს ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, აზიის, ლათინური ამერიკის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის 90 პროფკავშირული გაერთიანების 350-ზე მეტი დელეგატი. მათ შორის არიან უნგრეთის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის პროფკავშირების წარგზავნილებიც.

ფორუმის გახსნისას ვენესუელის პრეზიდენტმა კარლოს ანდრეს პერესმა გამოთქვა რწმენა, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ახლანდელი კონგრესი ხელს შეუწყობს განვითარებად და ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს შორის მეტი ურთიერთგაგების მიღწევას.

● **ტოკიო. დასავლეთის ქვეყნები ერთსულოვანი არიან აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესის მხარდაჭერის საქმეში, განაცხადა იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ჰიკარუ მაცუნაგამ.** ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ „ჯერ კიდევ ადრეა" შეარბილონ სოციალისტურ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციისა და ტექნოლოგიების ექსპორტის შეზღუდვები „უშიშროების მრავალი პრობლემის" გათვალისწინებით.

მაცუნაგა გამოვიდა ჟურნალისტების წინაშე მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ და განმარტა იაპონია-ამერიკის თათბირი სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტისადმი კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის დებულებათა გამოყენების საკითხთა შესახებ, რომელიც იაპონიის დედაქალაქში გაიმართა 20-21 ნოემბერს.

# ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

## წარდგენილია „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის“ მოსაპოვებლად

# დიდი ქალაქის შვილი

[illegible] ნაირები. მამა... დიმიტრი ერისთავს აქვს გრაფიკული სერია „მშრომელები“, ამ სერიაში — ერთი სურათი „მეცნიერი“. უბრალო ფიცრის თაროებზე წიგნებია, წიგნები სხვადასხვა ენაზე; მეცნიერი პატარა ფეხებსუსტ მაგიდასთან ზის (ასეთ მაგიდებთან უმთავრესად მსუბუქ საუზმეს მიირთმევენ შეძლებულნი), წელშია მოხრილი, ახლოს აქვს მიტანილი სახე წიგნთან, დღისით უნთია ღამის ნათურა, მის ფეხებთან სძინავს კატას. თუმცა ოფიციალურად სურათს მარტო „მეცნიერი“ ჰქვია, უკვე ბევრმა იცის, რომ ეს არის დიმიტრის მამის, ბატონი ვახტანგის პორტრეტი. ეს კაცი გარდა თავისი პროფესიისა, — ჩყო მშვენიერი პედაგოგი, — ხატავდა კიდეც, თარგმნიდა ინგლისურიდან, ქართულიდან ინგლისურადაც. მოსკოვმა ბატონი ვახტანგის თარგმანი გამოსცა — კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

დიმიტრი პატარაობიდანვე დაჰყავდათ უცხო ენის შესასწავლად, მუსიკის შესასწავლადაც (ცოტა ხანს) და, რაც მთავარია, სპორტზე. რა დაავიწყებს მის სკოლელებს, როგორ გაქიმა ყირა ბოტანიკური ბაღის ხევზე გადამავალი ხიდის მოაჯირზე დიმამ; ანდა ხუთსართულიანი სახლის აივნის მოაჯირზე! ამგვარ რამეთა აფიშირებაზე ბრაზობს. ასეა, ალბათ, მხოლოდ ახლა. კიდევ კარგი, რომ მალე გადაუვლის ხოლმე სიბრაზე.

დიმიტრი ერისთავს დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი მასწავლებელი იყო ბრწყინვალე სერგო ქობულაძე. მასზე დიმიტრი ყოველთვის ლაღად, მაგრამ ულრმესი პატივისცემით ლაპარაკობს. სადიპლომო შრომად აურჩევია ანატოლ ფრანსის მოთხრობის „კრენკებილის“ ილუსტრაციები, რომლებიც დღესაც დიდი ინტერესით იკითხება უკვე დიდი მხატვრის შემოქმედებაში. გასაოცარია ილუსტრაციების კოლორიტი, თითქოსდა უტრილო სდგომოდეს გვერდით, გასაოცარნი არიან პერსონაჟები, — თან ზეაწეულნი სიამაყით, რომ ისინი პარიზელები არიან, თან გროტესკულნიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებმაც უკვე მოახდინეს ერთი რევოლუცია და ცხვირში ირტყეს, მზად არიან მოახდინონ მეორე რევოლუციაც და კიდევ ირტყან ცხვირში. მოხუცი მემწვანილე ხომ — ეს ღარიბული პარიზის მუდმივი თანმდევია...

დიმიტრი ერისთავის პროფესიულ ყოფაში ბევრი რამ არის ბუნტარული, მაგრამ თითქმის ყოველთვის, საბოლოოდ, კეთილი სულის მამაკაცად დგას შეგრძნება საკუთარი სრულფასოვნებისა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური სრულფასოვნებისა, დიმიტრი ერისთავს სიხარულად აღაქმევინებს მშობლიურ ქვეყანას, უფრო ზუსტად — ქალაქს. „კლასობანა“, „იების გამყიდველი“, „საბავშვო ბაღი“, „ველოსიპედისტები“, „დილა“, [illegible]

[illegible] რამ, მევე ვპასუხობ: არა, აქ მაინც აღზრდაა განმსაზღვრელი, სკოლა, სადაც თითქოსდა დალეჭილ დოგმებს ასწავლიან, მაგრამ მაინც ასწავლიან აუცილებელს. მეორე — წიგნიერი სამყარო, რომელიც გარს ერტყმის თითქმის ყველგან... ზემონათქვამი გვაროვნულობა რომ ყოფილიყო განმსაზღვრელი, ძალიან ძნელად, რომ ერთი თემატიკისათვის, ერთი სიყვარულისათვის ადვილად დაელწია თავი, დიმიტრი ერისთავი კი მუდამ ძიებაშია, კამერტონული მძაფრი შეგრძნებით შეიგრძნობს ახალს. დილის ყვავილების სინაზითა და სიმშვენიერით მთრთოლ სერიას უფრო დაფიქრებულთა, ცხოვრებით პირველ დაღდასმულთა სახეები სცვლიან. ამ ციკლს განეკუთვნება: „სტადიონზე“, „დილა გარეუბანში“, „კამათი“, „გაზაფხული“. აქვე იწყება მკაცრი გროტესკული სერიაც. უზარმაზარი ჯანმრთელი ტოტებით ცასშებჯენილი ხის ძირას სხედან პატარა მამაკაცები და ქალები. სურათს ჰქვია „საუბარი“, და გეღიმება: ხე — თითქმის მარადიულობა, ადამიანები და მათი საუბრები — ვითარცა ნიავი... მოვლენ და წავლენ, მოვლენ და წავლენ. აქვეა „ტირი“, შენსკენ მომიზნებული თოფებით, უკან წარწერაა: „Учись метко стрелять“: შემდეგ, — სახინკლე, მუცლებად ქცეული ახალგაზრდები, უამრავი დაცლილი კათხები, ხინკლების გორები. თითქოს ასრულებს ამ სერიას „გაზეთების კიოსკთან“. რიგში დგანან სანყლები, დაფიქრებული, დამწუხრებულები. მათ წინ გარბის პატარა მოსწავლე, ლონივრად მიიქნევს ჩანთას, აშკარაა — ცხოვრება ფორიაქიანია, რიგში მდგარნი კი გადაშტერებამდე ჩაკეტილან თავიანთ ოცნებებში, იქნებ დღეს მაინც უთხრან გაზეთებმა გაჭირვებისაგან დამხსნელი, ცხოვრების შემამსუბუქებელი რამ.

აი, გრაფიკული სერია „მშრომელები“. შეიძლება თამამად ითქვას: საბჭოთა მხატვრობაში უამრავმა ვინმემ შეასხა ხოტბა შრომას, საბჭოთა ადამიანების აღფრთოვანებულ შრომას, ბევრმა ამ შრომით დათრგუნულნიც გამოხატა, მაგრამ იშვიათია ასეთი რამ — ღვთის თვალი და სიყვარული დასტრიალებენ დიმიტრი ერისთავის მშრომელებს, იშვიათია, რომ სხვაგანაც თან სდევდეს ციური მელოდია სურათებს. „მშრომელებს“ კი მუდამ თან სდევს. ჩავუკვირდეთ: „ხარაზს“, „ფეიქარ ქალს“. „მეეზოვეს“, „მლესავს“, „მზესუმზირის გამყიდველს“, „მწონავ ქალს“. აი, სად ჩანს ძალიან აშკარად, რომ დიმიტრი ერისთავი ღვიძლი, ღირსეული შვილია თავისი დიდი ქალაქისა, ტკივილი სტკივა მისი და სიხარული ახარებს, მერე ისე, ერთეულებს რომ ებედებათ ქვეყნად.

და კიდევ ერთი მძლავრი ნაკადი მხატვრის ძიებისა, ბრძოლისა: ეს არის თანამედროვეთა პორტრეტები — ქალთა, მამაკაცთა.

ჯერ კიდევ ადრე 60-იანი წლების დასაწყისში დიმიტრი ერისთავმა შექმნა ორი გრაფიკული პორტრეტი: მანანა გედევანიშვილი და ნათელა ერისთავი. რა თქმა უნდა, მას ადრეც ჰქონდა ამ ჟანრის ნამუშევრები. მაგრამ ეს ორი ნამუშევარი სულ სხვანაირად აჟღერდა ქართულ საზოგადოებრიობაში, და არამარტო ქართულში. მას შემდეგ დიმიტრი ერისთავს არ ჰქონია პერსონალური გამოფენა, სადაც ეს ორი პორტრეტი ძველებურად არ იზიდავდეს მაყურებელს.

დიდი ფორმატის ქაღალდი თითქოსდა დამუშავებულია ნემსის წვერით, ულამაზესი ქალიშვილი მანანა, თხელი პირსახით, უკან შეკრული ხშირი თმით, ჩვენსკენ შემობრუნებული უჩვეულოდ ლამაზი თვალებით თითქოსდა კითხულობს, ეკუთვნის ასე გაჩერება თუ არა. შენ გეღიმება, მზადა ხარ, ხელები ასწიო მაღლა, ქვეყანას გააწვდინო შენი ხმა, — ყველაფერი გეკუთვნის შენ!

ასეთივე სამახსოვრო პორტრეტია ნათელა ერისთავისაც. ნათელას სულ ცოტა მეტად აქვს გამოჩენილი მხრები, სამაგიეროდ თმის ყოველი ბეწვი ჩატკეპნილი აქვს ვარცხნილობაში, მასაც შემობრუნებია თვალები ჩვენსკენ, და თითქოს მიღებული აქვს საბოლოო გადაწყვეტილება — ეს მე ვარ, ე. ი. მზად არის ბევრი რამ შეიძლოს ბევრთათვის.

როგორც პირველი, ისე ეს მეორე პორტრეტი თავისებურ სიმბოლოებადაც კი იქცნენ თბილისური პორტრეტული კოლექციებისათვის, მხატვარი ძალიან ფრთხილად უმატებს ახალ ნამუშევრებს, მაგრამ მაინც უმატებს: მარინე ქარცივაძე, ინესა ისაკაძე, მარინე მაჭავარიანი, იზა ორჯონიკიძე, მანანა შენგელაია და სხვები. თითოეულ ამ პორტრეტზე ბევრი შეიძლება ლაპარაკი, სად, რომელ შტრიხთან რას ფიქრობდა მხატვარი, როგორ გამოუვიდა სინამდვილეში. უამრავი საინტერესო რამის ამოკითხვაც შეიძლება მათ თვალებში, მაგრამ ჩვენ სხვა პორტრეტებიც გვაინტერესებს, მამაკაცთა პორტრეტები. უმთავრესად ამ ციკლით დაინტერესებულან პრემიაზე წარდგინების დროსაც, ჩვენც მთელ ჩვენს შესაძლებლობებს წარვმართავთ მათკენ.

ერთი რამ უნდა ითქვას თავიდანვე: დიმიტრი ერისთავი უმთავრესად ხელოვანთ ხატავს. ამაში დაგვარწმუნებს უბრალო ჩამოთვლაც კი — ჭაბუა ამირეჯიბი — მწერალი; კარლო კალაძე — პოეტი; მირიან აბულაძე — მწერალი; რეზო ამაშუკელი — პოეტი; ოთარ ჭილაძე — მწერალი; გივი გეგეჭკორი — პოეტი; მიხეილ ლოხვიცკი — მწერალი; ვახტანგ ჯალაღანია — მუსიკოსი; გია ეძგვერაძე — მხატვარი; იზა ორჯონიკიძე — პოეტი; დინარა ნოდია — მხატვარი; გია ბადრიძე — კინოდრამატურგი, მსახიობი...

მხატვარი დიდად არ არის ნაყოყმანევი არც მანერის არჩევისას — ქაღალდი, ფანქარი, ტუში, პასტელი ანდა თხელი გუაში. მთავარი მოდელის ნაკვთებია, მისი სულია. ამ მხრივ კი თითქოს რაღაც არქაულთანაც გვაქვს საქმე. რომში, ვატიკანში, ჩამწკრივებულია ძველი იმპერატორების ბიუსტი-პორტრეტები. ეს ბიუსტები, ცნობილია, უაღრესი სიზუსტით გადმოგვცემენ მოდელებს, სულ სხვადასხვაა ყველა იმპერატორი, მაგრამ საერთო ანსამბლში, გასაოცარია, ყველა თითქოს მაინც ჰგავს ერთმანეთს, და ეს იმიტომ, რომ მხატვრამდე, მოქანდაკემდე, დიდი რომი მუშაობდა მათზე, მათ ფიზიკურ და სულიერ ჩამოყალიბებაზე.

დიმიტრი ერისთავის პორტრეტებზეც ასეთი რამ ითქმის. ისინი თბილისელი მოქალაქენი არიან. მათში წინაპართა პულსაცია იგრძნობა. ლამაზებს, ამაყთ, ქედმაღლურად აუმართავთ ჭკვიანური თავები. ერთი გაფიქრება გაფიქრებინებს: „ასე სჭირს საქართველოსაც, დიდებულთ თუნდა მცირეთა, აზავთდებიან, იტყვიან: უჩემოდ ვინ იმღერეთაო?“ მაგრამ სინამდვილეში სხვაა, ესენი ფიზიკური და სულიერი წვრთნაგავლილი თანამედროვენი არიან, ყოველი მათგანის ყბები დამუხტულია დაძაბულობისაგან, ყოველი მათგანის თვალები გამოაშუქებს ძალას, რაიც სავალდებულოა გაიღოს ქვეყნისათვის, მისი სიკეთისათვის. თვით კარლო კალაძის პორტრეტიც კი, რომელიც ერთი შეხედვით გარგანტუასაც კი გვაგონებს, — შუბლის ნაოჭებით, სიამაყის ბორცვებით, მკაცრი თვალებით სამშობლო ქვეყნის ბედით შეჭირვებული მამაკაცია. ის თავგანწირვით იბრძოლებს მისთვის.

რა საოცარი განწყობაა დაჭერილი ჯერაც ისევ ახალგაზრდა პოეტების ოთარ ჭილაძის, გივი გეგეჭკორის და იზა ორჯონიკიძის სახეებში. ისინი ისე დგანან, როგორც წმინდანობის გზაზე შემდგარი მონასტრის მორჩილები. ხარ მათთან და სიამაყის გრძნობა გეუფლება. თუ ერს ასეთი შვილები ჰყავს, ყოველთვის საიმედოდ გამოიყურება მისი მომავალი.

დიმიტრი ერისთავი, გავიმეორებ — დიდი ქალაქის შვილი— ტრფიალია კინოსიც, პრესისაც, წიგნიერი სამყაროსიც. მისი ნახატების მიხედვით არის დადგმული უმშვენიერესი ფილმები: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“. და კიდევ რაზე ლაპარაკობს ხოლმე სიამოვნებით: 1957 წლიდან, ე. ი. ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების დღიდან არ დაუბეჭდავს ახალგაზრდა ავტორს ამ ჟურნალში მოთხრობები, რომ ისინი ჩემი დასურათებული არ იყოსო. გამორჩევით ამაყობს იმით, რომ მე ვიყავიო პირველი ილუსტრატორი გურამ რჩეულიშვილისაო. მის მიერ გაკეთებული წიგნებიდან მე გამოვარჩევდი შარლ დე კოსტერის „ტილ ულენშპიგელს“ და შექსპირის „ჰამლეტს“. ამ წიგნებში საერთაშორისო კლასია გაბატონებული. ყველაფერი იმდენად ცხადია, განმარტებებს თითქოს აღარც მოითხოვს. პირიქით, ჰამლეტის მქრქალი ღიმილი შენ მოგყვება შენს საქმეებში შემწედ.

და ბოლოს — უცნაური მოვლენა „კაცია ადამიანი?!“ სიყვარული და სიძულვილი ერთსადაიმავე დროს. მოგვწონს ილია ჭავჭავაძის მათრახის ჭახუნი, მუდმივი თვლემა რომ მაინც დაურღვიოს ძველი ფარდაგივით მდიდარი კოლორიტის მქონე თათქარიძეებს, მაგრამ ამავე დროს შეშფოთებული ფიქრობ, ნუთუ მართლა არის ჩვენს ერში ლპობის ისეთი აშკარა კერები, როგორებიც თათქარიძეები არიან. ამიტომ არის, რომ ყოველივეს, რაიც კი „კაცია ადამიანს“ ეხება, გაფაციცებული ყურადღებით ვხვდებით. ასეთი გაფაციცებით შევხვდით დიმიტრი ერისთავის ილუსტრაციებსაც. ნაწილი ამ ილუსტრაციებისა 70-იანი წლების დასაწყისში არის შექმნილი, მეორე ნაწილი — ბოლო წლებში. ეს უკვე თავისებური შეკვეთაა — ბერლინში უნდა გამოვიდეს „კაცია ადამიანი“ გერმანულ ენაზე, ფერადი ილუსტრაციებით, და ამ საქმისათვის ყველაფერი თავიდან გააკეთა დიმიტრიმ. ვის აღარ დაუსურათებია ეს მოთხრობა! დიმიტრი ერისთავი მაინც იჩენს ინტელექტუალურ გაბედულებას და ასურათებს თავისებურად. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფერადი ილუსტრაციები. პირველი, რაც ამ ილუსტრაციებმა ახლოს მისვლისას მაფიქრებინა, ესაა ის, რომ ისინი დახატულია ქვეყანაში, რომელშიც ხშირია ფირუზისფერი ცა, ბევრია თუთა და ალუბალი, ბევრია მოცვი და მარწყვი, მრავალგვარი ფოთლოვანი ტყეები. ისევ სასაცილონი არიან დარეჯანი და ლუარსაბი, ისევ ძლივს დალაყუნებენ მსუქნები, ტანდამახინჯებულები, მაგრამ, როცა ისინი თავიანთი სახლის აივნის მოაჯირთან სხედან და ჯერაც ძილისაგან შეწუხებულები გადმოსცქერიან ქვეყანას, მათ ლამაზი თვალებიც კი აქვთ, ჭიქებით ხელში — ისევ დარეჯანი და ლუარსაბი,— რა ნდობით, რა სიყვარულით შეჰყურებენ ერთმანეთს! კუბოდან გადმომზირალი ლუარსაბი? მოჩარდახული ურემი გზაზე? დიმიტრი ერისთავისათვის დარეჯანისა და ლუარსაბის სამყარო მარტო წუმპე და საფლობი არ არის, ყველაფერი მისი სამშობლო საქართველოც არის, და სადაც ჩვენ პატარები ვიცინოდით ხოლმე, ახლა ტირილსაც კი გვანდომებს მხატვარი. იმედი გვაქვს გერმანელი მკითხველებიც კარგად შეიგრძნობენ ამას.

ვინ შეამჩნია, ვინ გამოარჩია პორტრეტები და „კაცია ადამიანის“ ილუსტრაციები და წარადგინა პრემიის მოსაპოვებლად? დიდი მადლობა ეკუთვნის ჩვენის მხრიდან მას. დიმიტრი ერისთავი ყოველდღიურად თავისებურად იბრძვის, უაღრესად საინტერესო სანახობაა მისი სახელოსნო, და თუ მაინც და მაინც არ ფეთდება რეგალიებისათვის, ჯილდოებისათვის, პირიქით — ღიზიანდება კიდეც, ეპატიოს ამ დღეებში მოლბერტთან გაჯიუტებული დგომა, მღელვარედ ზურგმოქცეულს ჩვენსკენ.

**რევაზ ინანიშვილი.**

• • •





სურათებზე: „კარლო კალაძის პორტრეტი“ და „კაცია ადამიანის“ ილუსტრაცია.

---

კონტაქტები



## ქართული ცეკვა ისრაელიდან

ახლახან ზესტაფონს ესტუმრა ისრაელის კულტურის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი მეცნიერი, ებრაულ-ქართული ურთიერთობების მკვლევარი, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იცხაკ დავიდი, ისრაელის ქართული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრი და ხაზინადარი ანზორ ხიხინაშვილი, პოეტი თინა შიმშილაშვილი, მწერალი მზია წიწუაშვილი, ქორეოგრაფის ასისტენტები ლილი ჩიკვაშვილი და ნუგზარ ხახმიგერი. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ისრაელში ქართული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე და ამავე საზოგადოებასთან არსებული ებრაელ ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლის დამაარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი, ისრაელის ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, წარმოშობით ზესტაფონელი, შოთა წვენიაშვილი, რომელმაც თავისი ანსამბლიც ჩამოიყვანა.

დელეგაციის წევრებს, ანსამბლის გამოსვლებს გულთბილად შეხვდნენ ზესტაფონელი მშრომელები. ებრაელ ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლის გამოსვლა, ამ რამდენიმე დღის წინათ, თბილისელებმაც იხილეს.

**ჰენრი შარიქაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: ქართულს ცეკვავენ ებრაელი გოგო-ბიჭები.

---

საქართველო-უნგრეთი

## კიდევ უფრო დაახლოებისათვის

ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ღრმავდება საქართველოს ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. აი, ახლაც, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს თანამშრომლობას. საქართველოს მხრიდან — კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ია გამრეკელმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან — განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ფერენც ჰუსტაიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

შეთანხმების თანახმად ორივე მხარე გაცვლის ასპირანტებსა და სპეციალისტებს ჰუნგაროლოგიისა და ქართველოლოგიის შესასწავლად. ათი თვის ვადით მიიღებენ თითო მთარგმნელს, რომლებიც ქართულ-უნგრულ ენებსა და ლიტერატურას დაეუფლებიან. უზრუნველყოფენ ახალგაზრდა მუსიკოსების მიღებას როგორც მუსიკალურ ბანაკებში, ასევე ფესტივალებზე. ქართველ მუსიკოსებს საშუალება ექნებათ გაიარონ კოდაის ინსტიტუტის კურსები. მოხდება სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ბუდაპეშტის ფერენც ლისტის აკადემიას შორის. საქართველო ფირმა „მელოდიის“ ბაზაზე უზრუნველყოფს იმ მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემას, რომლებიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შეიქმნა.

ურთიერთობა დამყარდება აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასა და „ინტერკონცერტს“ შორის, ანსამბლებისა და ცალკეულ ხელოვანთა კომერციული გაცვლისათვის. საფუძველი ჩაეყრება საქართველოს კინოხელოვანთა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტელე და კინოხელოვანთა კავშირის თანამშრომლობას. გაიცვლება გამოფენები ორივე რესპუბლიკის მუზეუმებსა და სურათების გალერეებს შორის. უნგრეთში გამოიცემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზიჩის ილუსტრაციებით, საქართველოში კი — მიხაი ზიჩის ალბომი. გაღრმავდება ქ. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის და ზალაეგერსეგის შანდორ ჰევეშის სახელობის თეატრების ურთიერთობა.

ამ შეთანხმების განხორციელება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ ორი ხალხის დაახლოებასა და მეგობრობის განმტკიცებას.

**ნინო სიხარულიძე,**
კულტურის სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი.

---

## სატურნირო ორბიტა

**ჭადრაკი.** იუგოსლავიის დედაქალაქში, სადაც გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, კვლავ გარი კასპაროვი ლიდერობს. მეექვსე პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა 59-ე სვლაზე დაამარცხა იან ელვესტი და ამრიგად, ექვსი შესაძლებლიდან 5 ქულა დააგროვა.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სიმენ აგდესტეინი (ნორვეგია) — იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 0:1; ნაიჯელ შორტი (დიდი ბრიტანეთი) ზდენკო კოზული (იუგოსლავია) — 0:1; პრედრაგ ნიკოლიჩი — ლიუბომირ ლიუბოევიჩი (ორივე იუგოსლავია) — 0,5: 0,5; პეტარ პოპოვიჩი — ბრინკო დემიანოვიჩი (ორივე იუგოსლავია) — 0,5: 0,5; არტურ იუსუპოვისა და იან ტიმანის (ჰოლანდია) პარტია გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ ჰიარტარსონს აქვს ოთხი ქულა; იუსუპოვს — 3,5 და ერთი გადადებული პარტია, ელვესტს — 3,5; ტიმანს — 3 (1), ნიკოლიჩსა და შორტს — სამ-სამი ქულა, ლიუბოევიჩსა და დამიანოვიჩს — 2,5 —2,5; აგდესტეინს — 2 (1); პოპოვიჩს 1 (1), ხოლო კოზულს ჯერ არცერთი ქულა არ მოუპოვებია.

**ფეხბურთი.** მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ფეხბურთელებმა იტალიაში დაამარცხეს ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრები გუნდი ანგარიშით 1:0, ცნობილი გახდა იტალიის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე 24-ვე გუნდი.

მსოფლიო გვირგვინისათვის ევროპის 14 ნაკრები იბრძოლებს— იტალია, სსრკ, იუგოსლავია, ინგლისი, ესპანეთი, შვეცია, ბელგია, რუმინეთი, ირლანდია, ავსტრია, გფრ, ნიდერლანდები, შოტლანდია და ჩეხოსლოვაკია.

სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის ღირსებას დაიცავენ ბრაზილიის, კოლუმბიისა და ურუგვაის ნაკრები გუნდები, აგრეთვე 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები.

აზიის ქვეყნებიდან მომავალ ჩემპიონატზე ითამაშებს არაბთა გაერთიანებული ემირატისა და სამხრეთ კორეის ნაკრების ფეხბურთელები, კარიბის აუზისა და ცენტრალური ამერიკის ღირსებას კოსტა-რიკისა და აშშ ნაკრები გუნდები დაიცავენ, ხოლო აფრიკიდან იტალიაში გაემგზავრებიან ეგვიპტისა და კამერუნის ნაკრებთა ფეხბურთელები.

• • •

კურორტ ახალი ათონის სტადიონზე დასრულდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა დაღუპული ინტერნაციონალისტი მეომრების ხსოვნას. ტურნირის ჯილდოებისათვის იბრძოდნენ 1976-77 წლებში დაბადებული მოსწავლეები. მასპინძლების გარდა, ბავშვთა ამ სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ვოლგოგრადის, ვორონეჟის, სარანსკის, აბოვიანის, სოხუმისა და გუდაუთის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული აბოვიანი „კოტაიკი“ და ახალი ათონის „ტურისტი“. მასპინძლებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს და დაეუფლნენ მთავარ პრიზს.

---

### ფ. ნ. თავაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 23 და 24 ნოემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში (კამოს ქ. 4, მე-7 სადარბაზო), 25 ნოემბერს 14 საათზე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში.

გამოსვენება — 25 ნოემბერს 15 საათზე მეტალურგიის ინსტიტუტიდან (პავლოვის ქ. 15.).

დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

---

რედაქტორი
**ნ. ჩერქეზიშვილი.**

---

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ფერდინანდ ნესტორის ძე თავაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---


### გიწვევთ ბაზრობაზე

**1989 წლის 23-28 ნოემბერს** საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კომერციული ცენტრი გაერთიანება „საქნაირბითუმვაჭრობასთან“ ერთად აწყობს რეგიონალურ სამრეწველო ბაზრობას. ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნება სარეალიზაციოდ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია, ზენორმატიული, გამოუყენებელი სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და წარმოების ნარჩენები ნიმუშების და კატალოგების სახით.

**ვიწვევთ:**

საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, მიიღონ მონაწილეობა ბაზრობაში.

ბაზრობა იმართება საქართველოს სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის კომერციული ცენტრის გამოფენის შენობაში მისამართით: ქ. თბილისი (ვარკეთილი-3), გახოკიძის ქ. № 165.

**ბაზრობა მუშაობს 10 საათიდან 18 საათამდე. ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონებით: 37-54-87, 38-07-23, 73-89-49, 73-54-22.**

**საორგანიზაციო კომიტეტი.**


---

### წიგნის თარო

# ხელოვანის გზა

**საქართველოს** თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გამოსცა ელენე საყვარელიძის მონოგრაფია „ხელოვანის გზა“ — მიძღვნილი აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ლეო ჭედიას აქტიორული და სარეჟისორო მოღვაწეობისადმი (რედაქტორი ე. ნადარეიშვილი).

ავტორს, ამავე დროს მსახიობს, რომელსაც თავისი შემოქმედებითი გზის მნიშვნელოვანი ნაწილი აკავშირებს ლეო ჭედიასთან, საინტერესოდ აქვს აღწერილი ხელოვანის ცხოვრება, მისი ბუნება, მისი წვლილი აფხაზეთში ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

წიგნს დართული აქვს ლ. ჭედიას მიერ სოხუმის თეატრში შესრულებული როლების (1936-1958 წ.წ.) და მის მიერვე განხორციელებული დადგმების ნუსხა (1943-1961 წ.წ.).

და მართალია, იგი ამჟამად თეატრში აღარ მუშაობს, მაგრამ ავტორის წინათქმაშივე წერია: „არ მუშაობს — თუ ითქმის კაცზე, რომელიც ერთი წუთითაც არ ჩამოშორებია შემოქმედებითსა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას“... ამით კი 80 წლის ხელოვანი სხვათაც მაგალითს აძლევს — ახალგაზრდობას, თვითმოქმედებას, ანუ კვლავ მამულიშვილურ საქმეს ემსახურება.

---

# ამინდი

**ნოემბერი** იწურება. ჯერაც ოქროსფრად შემოსილია ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მთა-ბარი, მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გადმოსულმა ცივი ჰაერის ნაკადმა თოვლი მოიტანა და უკვე 20 ნოემბრიდან დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ყველგან უხვად ბარდნიდა.

ამჟამად ხულოში თოვლის საფარის სიმაღლე 158 სანტიმეტრია, გოდერძის გადასასვლელზე — 134, ბახმაროში — 78, გაგრის ქედზე, წიფაში — 70, საჩხერეში — 60, ცხინვალში — 37, ჯვრის უღელტეხილზე — 51, როკოთის გადასასვლელზე — 36, ლენინგორში — 20, ხაშურში — 16, ბაკურიანში, თიანეთში — 10.

გუშინ თოვა თითქმის ყველგან შეწყდა. როგორც თბილისის ამინდის ბიუროში გვაცნობეს, ორიოდე დღეს გამოიდარებს, შემდეგ კი ისევ ზამთარი შემოგვიტევს.

დღეს უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა — დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით 0 +3, ზოგან —2, დღისით +9 +14, მთაში ღამით —3 —8, დღისით +2 +7, მაღალმთიანეთში ღამით —6 —11, დღისით 0 —5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — ღამით —3 +2, შიდა ქართლში —1 —6, დღისით +3 +12, მთაში ღამით —4 —9, დღისით 0 +5, მაღალმთიანეთში ღამით —8 —13, დღისით —1 —6 გრადუსი.

**თბილისში:** მშრალი ამინდი, ტემპერატურა — ღამით —1 +1, დღისით 10-12 გრადუსი სითბო.

---

## ტელევიზია — ოთხშაბათი, 22 ნოემბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 14.20 — ათლეტიზმი. 14.45 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.25 — „მუსიკოსის გახსენება“. ვ. ნალბანდიშვილი (განმეორებით). 18.10 — მოსწავლეთათვის. ჯადოსნური სალებავი“. 18.35 — „პოეზია“. ნაზი ხელაია. 19.05 — განცხადებები. 19.10 — ქართული ფოლადი. 20.00 — მოამბე. 20.35 — „რაღაც უნდა გადარჩეს“. 21.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გლადიატორი“. 21.15 — საზოგადოება და კანონი. შეხვედრა გორში. 22.00 — „ერემია“. 22.40 — კონცერტი. 23.00 — ფეხბურთი უეფას თასზე. იტალიის „ფიორენტინა“ — კიევის „დინამო“. გადაცემა იტალიიდან.

**მეორე პროგრამა.** 12.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფილმ-სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. 16.30 — დოკუმენტური ფილმი „ყურადღება, საბავშვო!“ (პირველი ჩვენება). 20.00 — მოამბე. 20.35 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 21.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მგზავრი“.

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „თან მიგყავს კატაც“. 10.45 — XVIII საუკუნის მუსიკა. 11.30 — „ორი შეხვედრა ვალერი პრიომიხოვთან“. 12.40 — „ცისარტყელა“. „სიყვარულის საგაზაფხულო მელოდიები“ (ვიეტნამი). 13.00 — მოგზაურთა კლუბი. 16.35 — დოკუმენტური ფილმი. 16.55 — მღერის ვ. ჩერნოვი. 18.00 — იმპულსი. 18.45 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 19.45 — ხმელთაშუაზღვისპირეთი. ხედი საბერძნეთიდან. 20.30 — მულტფილმები. 20.45 — „ადამიანი და კანონი“. სამართლებრივი ვიდეოარხი. 22.00 — „ერემია“. 22.40 — ფ. პულენკის რომანსებს მღერის ე. ივანოვა. 23.00 — ფეხბურთი. უეფას თასი. მერვედფინალი. იტალიის „ფიორენტინა“ — კიევის „დინამო“. შესვენებისას (23.45) — დღეს მსოფლიოში.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — ალმანახი „ბუნების საიდუმლოებანი“. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 და 11.05 — გერმანული ენა. 11.35 და 12.35 — ფიზიკა. VII კლასი. 12.05 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „ცხენი, თოფი და ლალი ქარი“. 14.10 — მასწავლებელთა გუნდების პირველი სრულიად რუსეთის ფესტივალი. 14.50 — დოკუმენტური ფილმები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ერაზანა“. I სერია — „ხსოვნა“. 19.15 — რსფსრ ქალაქების ტელესტუდიები. 20.00 — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. შესვენებისას — „ძილი ნებისა, პატარებო!“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 69434 უე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14